პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 38-ე წელი | №81 (11387) | ხუთშაბათი, 9 აპრილი, 1959 წ. | ფასი 20 კაპ.

8 აპრილს თბილისში ჩამოვიდნენ კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის უმაღლესი სახალხო კრების პრეზიდიუმის თავმჯდომარე ცოი ენ გენი და მისი თანმხლები პირები. **სურათზე:** შეხვედრა თბილისის აეროდრომზე.

ფოტო **ვ. სტოლიაროვისა** (საქდესის ფოტოქრონიკა).

ამხანაგი ცოი ენ გენი თბილისში

8 აპრილს ტაშკენტიდან თბილისში ჩამოვიდა კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის უმაღლესი სახალხო კრების პრეზიდიუმის თავმჯდომარე ცოი ენ გენი, რომელიც საბჭოთა კავშირში იმყოფება მეგობრობის ვიზიტით სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის კ. ე. ვოროშილოვის მოწვევით.

აეროვაგზლის შენობაზე ფრიალებენ კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის, საბჭოთა კავშირისა და საქართველოს სსრ სახელმწიფო ალმები, ალისფერი ქსოვილები, რომლებზეც წარწერილია მისალმების სიტყვები კორეის სახალხო სახელმწიფოს მეთაურისა და მისი თანამგზავრებისადმი, აგრეთვე სიტყვები კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მშრომელთა პატივსაცემად, რომლებიც სოციალიზმს აშენებენ, იბრძვიან თავიანთი სამშობლოს მშვიდობიანი გაერთიანებისათვის, საბჭოთა და კორეელი ხალხების ურღვევი მეგობრობის აღსანიშნავად.

საჰაერო ხომალდის „ტუ-104“ მოფრენისათვის აეროდრომზე შეიკრიბნენ თბილისის მშრომელთა წარმომადგენლები. საპატიო სტუმრის შესახვედრად აქ მოვიდნენ ამხანაგები ვ. პ. მჟავანაძე, გ. დ. ჯავახიშვილი, მ. დ. ჩუბინიძე, პ. ვ. კოვანოვი, ი. ს. დოლიძე, ფ. დ. დუმბაძე, მ. ი. კუჭავა, კ. ნ. გალიცკი, ა. ნ. ინაური, გ. ა. გეგეშიძე, ი. გ. რთველიაშვილი, გ. ი. ჩოგოვაძე, ე. ა. შევარდნაძე. შეხვედრთა შორის იყვნენ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. ბ. გელდიაშვილი, საქართველოს სსრ მინისტრები ი. ი. ღარიბაშვილი, გ. ნ. ჯიბლაძე, დ. ი. ჩხეიძიშვილი, თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ა. ე. მელაძე, გენერალ-პოლკოვნიკი ნ. ფ. პაპივინი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ი. ბ. აბაშიძე, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატები ნ. ა. ჯავახიშვილი, რ. რ. დვალი, დ. ა. ჭიჭინაძე, შ. ლ. ჭანკოტაძე, საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საქართველოს საზოგადოების გამგეობის პრეზიდიუმის თავმჯდომარე ვ. ა. ქოჩორაძე, პრესისა და რადიოს წარმომადგენლები.

11 საათსა და 15 წუთზე ადგილობრივი დროით სპეციალური თვითმფრინავი ეშვება. თვითმფრინავიდან ჩამოვიდნენ ამხანაგი ცოი ენ გენი და მისი თანმხლები პირები. მასთან ერთად ჩამოვიდნენ კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის თავმჯდომარის მოადგილე ხონ მენ ხი, კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის უმაღლესი სახალხო კრების პრეზიდიუმის მდივანი კან რიან უკი, კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ლი დონ გენი, კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის ელჩი სსრ კავშირში ლი სინ პჰარი და სხვა კორეელი მოღვაწეები.

ამავე დროს თბილისში ჩამოვიდნენ კორეელი ხალხის წარმომადგენელთა თანმხლები პირები საბჭოთა ქვეყანაში მოგზაურობის დროს სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე გ. მ. პუშკინი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ნ. ა. დიგაი, სსრ კავშირის ელჩი კორეის სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკაში ა. მ. პუზანოვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს განყოფილებათა გამგეების მოადგილეები მ. ს. კაპიცა და კ. ნ. კოლიჩევი, აგრეთვე საბჭოთა და კორეელი კორესპონდენტები.

საქართველოს სსრ ხელმძღვანელები გულთბილად, ძმურად მიესალმნენ კორეელ მეგობრებს. პიონერებმა ყვავილთა თაიგულები მიართვეს მამაცი, გმირი კორეელი ხალხის წარმომადგენლებს.

სტუმრების ჩამოსვლის შემდეგ მალე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ მ. დ. ჩუბინიძემ საუზმე გამართა კორეის სახალხო სახელმწიფოს მეთაურის ცოი ენ გენის პატივსაცემად. საუზმის დროს, რომელმაც დიდი გულითადობისა და გულთბილობის ვითარებაში ჩაიარა, სიტყვები წარმოთქვეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ვ. პ. მჟავანაძემ, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ გ. დ. ჯავახიშვილმა, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ მ. დ. ჩუბინიძემ და ცოი ენ გენმა.

დღის მეორე ნახევარში ამხანაგი ცოი ენ გენი და სხვა კორეელი სტუმრები ეცნობოდნენ საქართველოს დედაქალაქის ღირსშესანიშნაობებს. მათ ავტომანქანებით გაისეირნეს ქალაქის პროსპექტებზე, მოედნებზე და ქუჩებში.

საღამოს კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო მოღვაწეები დაესწრნენ საქართველოს ხელოვნების ოსტატთა კონცერტს რუსთაველის სახელობის საკონცერტო დარბაზში. (საქდესი).

კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის უმაღლესი სახალხო კრების პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ცოი ენ გენმა ვიზიტი გაუკეთა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს მ. დ. ჩუბინიძეს

კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის უმაღლესი სახალხო კრების პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ცოი ენ გენმა, რომელიც თბილისში ჩამოვიდა, 8 აპრილს ვიზიტი გაუკეთა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს მ. დ. ჩუბინიძეს.

ამხანაგ ცოი ენ გენთან ერთად იყვნენ კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის თავმჯდომარის მოადგილე ხონ მენ ხი, უმაღლესი სახალხო კრების პრეზიდიუმის მდივანი კან რიან უკი, კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ლი დონ გენი, კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის ელჩი სსრ კავშირში ლი სინ პჰარი და სხვები.

ვიზიტის დროს გაიმართა საუბარი, რომელმაც გულთბილ, მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა.

საბჭოთა კავშირის მხრივ საუბარს ესწრებოდნენ სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე გ. მ. პუშკინი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე და საგარეო საქმეთა მინისტრი მ. ი. კუჭავა, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. ბ. გელდიაშვილი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე ა. ნ. ინაური, საქართველოს კომუნისტური პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი გ. ა. გეგეშიძე, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატები ნ. ა. დიგაი, ი. გ. რთველიაშვილი, სსრ კავშირის ელჩი კორეის სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკაში ა. მ. პუზანოვი და სხვა ოფიციალური პირები. (საქდესი).

სადილი ამხანაგ ცოი ენ გენის პატივსაცემად

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 8 აპრილს სადილი გამართა კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის უმაღლესი სახალხო კრების პრეზიდიუმის თავმჯდომარის ცოი ენ გენის პატივსაცემად.

სადილზე ამხანაგ ცოი ენ გენთან ერთად იყვნენ კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის თავმჯდომარის მოადგილე ხონ მენ ხი, უმაღლესი სახალხო კრების პრეზიდიუმის მდივანი კან რიან უკი, კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ლი დონ გენი, კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის ელჩი სსრ კავშირში ლი სინ პჰარი და სხვა კორეელი მოღვაწეები.

სადილზე იყვნენ ამხანაგები მ. დ. ჩუბინიძე, მ. ი. კუჭავა, გ. ა. გეგეშიძე, ი. გ. რთველიაშვილი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. ბ. გელდიაშვილი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე გ. მ. პუშკინი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ნ. ა. დიგაი, სსრ კავშირის ელჩი კორეის სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკაში ა. მ. პუზანოვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს განყოფილებათა გამგეების მოადგილეები მ. ს. კაპიცა და კ. ნ. კოლიჩევი.

სადილის დროს, რომელმაც ძმური გულითადობის ვითარებაში ჩაიარა, სიტყვები წარმოთქვეს ამხანაგებმა მ. დ. ჩუბინიძემ და ცოი ენ გენმა.

— ჩვენ უსაზღვროდ გვახარებს, — თქვა ამხანაგმა ცოი ენ გენმა, — შეხვედრა ახლობელ მეგობრებთან, საქართველოს სსრ დედაქალაქის თბილისის მცხოვრებლებთან, რომელიც სახელგანთქმულია ქართველი ხალხის რევოლუციური ტრადიციებით.

ნება მიბოძეთ გამოვთქვა უდიდესი მადლობა ესოდენ გულთბილი მიღებისათვის და გადავცე ქალაქ თბილისის მოქალაქეებსა და საქართველოს სსრ მთელ ხალხს კორეელი ხალხის მგზნებარე, ძმური სალამი.

ქართველი ხალხი, უდიდესი აღფრთოვანებით ახორციელებს რა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ისტორიული XXI ყრილობის გადაწყვეტილებებს, შეუპოვრად იბრძვის შვიდწლიანი გეგმის ვადამდე შესრულებისათვის. ქალაქ თბილისის შესანიშნავმა ხედმა, რომელიც ქართველი ხალხის მიერ სოციალიზმისა და კომუნიზმის მშენებლობის მსვლელობაში მიღწეულ უდიდეს წარმატებათა კონცენტრირებული გამოხატულებაა, ჩვენზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა.

ნება მიბოძეთ მხურვალედ მოგილოცოთ დიდი წარმატებანი და გისურვოთ შემდგომი გამარჯვებები კომუნიზმის მშენებლობაში.

თავის სიტყვაში ამხანაგმა ცოი ენ გენმა აღნიშნა, რომ კორეელი ხალხი, რომელსაც კორეის შრომის პარტია ხელმძღვანელობს, შვიდმილიანი ნაბიჯით მიდის წინ სოციალიზმის გზით. სახალხო მეურნეობის ყველა დარგში დიდი ცვლილებები ხდება.

შარშან კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მრეწველობამ ჩვენს ქვეყანას მისცა 13,6-ჯერ მეტი პროდუქცია, ხოლო სოფლის მეურნეობამ დაახლოებით 2-ჯერ მეტი მარცვლეული, ვიდრე 1946 წელს. ჩვენი მშრომელები, — ამბობს ამხანაგი ცოი ენ გენი, — ვალდებულებას კისრულობენ ხუთწლიანი გეგმა შეასრულონ ვადაზე ორი წლით ადრე, ესე იგი წელს. ჩვენი ხალხის ყველა წარმატება უაზროა საბჭოთა ხალხის აქტიური დახმარებისა და ჩვენს ქვეყანაში მისი გამოცდილების გამოყენებისაგან მოწყვეტით. კორეის ხალხი ყოველთვის სწავლობს საბჭოთა ხალხისაგან და მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი ყოველ პირობებში საბჭოთა ხალხთან ერთად იბრძოლოს ნათელი მომავლისათვის.

ნება მიბოძეთ გამარჯვება ვუსურვო კორეელი და საბჭოთა ხალხების მარადიულ და ურღვევ მეგობრობას, შეკავშირებას, საქართველოს სსრ შემდგომ წარმატებებს კომუნიზმის მშენებლობაში, ვადღეგრძელებ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ხელმძღვანელებს ამხანაგ ხრუშჩოვის მეთაურობით, ვადღეგრძელებ აქ დამსწრე ამხანაგებს. (საქდესი).

მხარი დავუჭიროთ მექანიზატორ გიორგი სიხაშვილის თაოსნობას

გავაჩაღოთ გრძოლა სიმინდისა და სხვა სათოხნი კულტურების კომპლექსური მექანიზაციისათვის

თებერვალში საქართველოს სხვა მექანიზატორებთან ერთად ვიყავი უკრაინის სსრ კიროვოგრადის ოლქის ნოვოუკრაინკის რაიონის XX პარტყრილობის სახელობის კოლმეურნეობაში, სადაც სატრაქტორო ბრიგადის ბრიგადირად მუშაობს ორგზის სოციალისტური შრომის გმირი, საქვეყნოდ ცნობილი მექანიზატორი ალექსანდრე გიტალოვი. იგი წინა დღეებში დაბრუნებული ყო მოსკოვიდან, სადაც მონაწილეობას იღებდა პარტიის XXI ყრილობის მუშაობაში, როგორც დელეგატი. გიტალოვის სატრაქტორო ბრიგადაში ბევრი რამ საინტერესო ვნახეთ და შევისწავლეთ.

მაგრამ ყველაზე მეტად ჩვენი ყურადღება მიიპყრო ამ ბრიგადის მიერ სიმინდის, მზესუმზირას და შაქრის ჭარხლის კვადრატულ-ბუდობრივად თესვისა და დამუშავების კომპლექსური მექანიზაციის სანმუშოდ მოწყობამ.

ზოგიერთს დაუჯერებლად ეჩვენა, რომ ერთი სატრაქტორო აგრეგატი, რომელსაც ფაქტიურად 2 კაცი ემსახურება, 100 ჰექტარ ფართობზე კიდევაც ნნავს, კიდევაც კვადრატულ-ბუდობრივად თესავს სიმინდს, კულტივაციასაც ჩინებულად ატარებს და მოსავალსაც იღებს.

აი თუ გინდა, სასწაული ეს არის-მეთქი, ვამბობდი ჩემს გუნებაში. ერთი ჰექტარი სიმინდის გათოხნას ჩვენს პირობებში ერთ დღეს 7 კაციც ძლივს ასწრებს, აქ კი ერთი ტრაქტორი 100 ჰექტარ ფართობს სარეველებისაგან ორ დღეს გაგისუფთავებს და კიდევაც დამუშავებს. აი ეს არის ნამდვილი ვაჟკაცობა. უკრაინიდან დაბრუნებისთანავე ბევრი აღარ მიფიქრია, ჩემი ბრიგადის ბიჭებს მოველაპარაკე. ცოტა კი წაიბუზღუნეს, მაგრამ ბოლოს დამეთანხმნენ: გიტალოვის მეთოდით დავიწყოთ მუშაობა და იქნებ საქმე არც ისე ცუდად გამოგვივიდესო.

ამის შემდეგ შევქმენით ერთი მექანიზებული აგრეგატი, რომელსაც სურვილისამებრ მივამაგრეთ ტრაქტორისტები — ს. ეკალაძე, ქ. ირემაძე და მიმბმელი ო. ნადირაშვილი. ამ სამეულმა იკისრა 100 ჰექტარზე კვადრატულ-ბუდობრივად დათესოს სიმინდი, ჰექტარზე მიიღოს 30 ცენტნერი მარცვლად, ხოლო 300 ცენტნერი მწვანე მასა. აღნიშნული აგრეგატი უზრუნველყავით „სკგკ-6ვ“ მარკის საკიდი სათესით და სხვა საჭირო იარაღებითა და მოწყობილობით. აგრეგატის კოლექტივმა უკვე 10 ჰექტარზე კვადრატულ-ბუდობრივად დათესა შაქრის ჭარხალი და სიმინდის დასათესად მოამზადა 100 ჰექტარი ფართობი.

კომპლექსურ მექანიზაციაზე ერთი სატრაქტორო აგრეგატის გადაყვანა სრულებითაც არ გვაკმაყოფილებს. ჩვენი სატრაქტორო ბრიგადა ემსახურება კოლმეურნეობის 9 საწარმოო ბრიგადას, აქედან 6 მემინდვრეობისაა და დანარჩენი სამი — მებოსტნეობის, მებაღეობისა და მევენახეობის ბრიგადებია. მებოსტნეები და მებაღეებიც მოითხოვენ ყველა სამუშაოს კომპლექსურ მექანიზაციას. სამართლიანია მათი მოთხოვნილება, მით უმეტეს, რომ მემინდვრეობაში დიდი ხანია ყველა ძირითადი სამუშაო მექანიზმებით სრულდება.

უკრაინიდან დაბრუნების შემდეგ, მექანიზატორთა რაიონულ თათბირზე, რომელიც პარტიის ქარელის რაიკომმა მოიწვია, გამოვედი მოხსენებით გიტალოვის სატრაქტორო ბრიგადის გამოცდილების შესახებ. ამავე თათბირზე ჩემი ბრიგადის სახელით ვიკისრე ვალდებულება, რომ შვიდწლედის პირველ წელსვე საფუძველს ჩავუყრით სიმინდისა და სხვა სათოხნი კულტურების კომპლექსურ მექანიზაციას ჩვენს კოლმეურნეობაში. აქვე მოვუწოდე ყველა მექანიზატორს ესინჯათ თავიანთი ძალა და უნარი ამ საქმეში. ამ წინადადებას კონკრეტულ ვალდებულებათა აღებით გამოეხმაურნენ დირბის კოლმეურნეობის სატრაქტორო ბრიგადის ბრიგადირი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ვ. ცქიფური. არადეთის კოლმეურნეობის მექანიზატორი ა. ტიტვინიძე, სოფელ მოხისიდან შ. მაისურაძე, სოფელ ფციდან ა. გეგელაშვილი და სხვ. თვითეულმა მათგანმა თავისი ბრიგადის სახელით იკისრა 100 ჰექტარ ფართობზე სიმინდის კომპლექსური მექანიზაციით მოყვანა. სულ კი ჩვენს რაიონში ამ წესით წელს სიმინდი დამუშავდება 1.200 ჰექტარ ფართობზე.

მე ვფიქრობ, რომ ახლა ჩვენი რესპუბლიკის მეტ წილ რაიონებში არის დიდი შესაძლებლობა მიმდინარე გაზაფხულიდანვე ფართოდ გადავიდეთ სიმინდისა და სხვა სათოხნი კულტურების კომპლექსურ მექანიზაციაზე. მოვუწოდებ საქართველოს კოლმეურნე მექანიზატორებს, რომლებსაც ნიადაგის მხრივ საამისო პირობები აქვთ, **დაიწყონ ბრძოლა ალექსანდრე გიტალოვის მეთოდის ფართოდ დანერგვისათვის, ყველა სათოხნი სასოფლო- სამეურნეო კულტურის კომპლექსური მექანიზაციისათვის.** ცხადია, იქნება სიძნელეები, *მაგრამ ნუ შევეშინდებით მას. რაიონის ხელმძღვანელი ორგანოებისა და საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს მხარდაჭერითა და ქმედითი დახმარებით ყოველგვარ სიძნელეს გადავლახავთ და დიდ საშვილიშვილო საქმეს გავაკეთებთ, ხელს შევუწყობთ მოსავლიანობის თვალსაჩინოდ გადიდებას.

პირადად მე სოციალისტურ შეჯიბრებაში ვიწვევ ხაშურის რაიონის ცხრამუხის კოლმეურნეობის სატრაქტორო ბრიგადის ხელმძღვანელს ამხ. ს. ქალიაშვილს, რომელიც ჩემთან ერთად იყო უკრაინაში ა. გიტალოვის ბრიგადის მუშაობის მეთოდების გასაცნობად.

ვფიქრობ, ისეთი გამოცდილი მექანიზატორები, როგორიც არიან ყვარლის რაიონიდან სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ნიკო კურდღელაშვილი და ახმეტის რაიონიდან საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი სოლომონ რამაზაშვილი, აგრეთვე სხვა მოწინავე მექანიზატორები სიამოვნებით გამოეხმაურებიან ჩვენს წინადადებას, და როგორც ვიცნობ მათი სამოქმედო უბნების ნიადაგების ხელსაყრელობას, აქედანვე შეუდგებიან ბრძოლას შრომატევად სამუშაოთა კომპლექსური მექანიზაციისათვის.

დარწმუნებული ვარ, რომ საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრო, რომელიც დაინტერესებულია ჩვენს რესპუბლიკაში ა. გიტალოვისა და ნ. მანუკოვსკის მეთოდების ფართოდ გავრცელებით, თვალსაჩინო დახმარებას გაგვიწევს მექანიზატორებს არა მარტო ახალი საკიდი მანქანებისა და სათადარიგო ნაწილების, შესადუღებელი აპარატებისა და სახარატო დაზგების შეძენაში, არამედ გიტალოვისა და მანუკოვსკის, აგრეთვე საქართველოს მოწინავე მექანიზატორთა გამოცდილების შესახებ სათანადო პოპულარული ბროშურებისა და სხვა თვალსაჩინოებათა გამოცემით.

მაშ ფართოდ გავაჩაღოთ ბრძოლა კომპლექსური მექანიზაციისათვის, ამხანაგებო!

გ. სიხაშვილი,
ქარელის რაიონის ი. ბ. სტალინის სახელობის კოლმეურნეობის სატრაქტორო ბრიგადის ბრიგადირი.

გიორგი სიხაშვილი. ფოტო **შ. ჩხეტიანისა.**

პარტიული ცხოვრება

განა ასე უნდა ვეხმარებოდეთ პროპაგანდისტებს?

პროპაგანდისტი პარტიული განათლების მთავარი ფიგურაა. ამიტომ პროპაგანდისტისათვის ზრუნვა მუდამ უნდა იდგეს პარტიული ორგანიზაციების ყურადღების ცენტრში.

შუახევის რაიონში 60-ზე მეტი პროპაგანდისტია. მარტო ის ფაქტი, რომ ისინი ხელმძღვანელობენ 45 წრეს, 11 პოლიტსკოლასა და 7 სემინარს, ცხადყოფს, თუ რა დიდი როლი აკისრია პარტიის რაიკომს პროპაგანდისტების შერჩევის, განაწილებისა და აღზრდის საქმეში.

როგორც ცნობილია, პროპაგანდისტთა დახელოვნებაში დიდი როლი ეკისრება პროპაგანდისტთა სემინარს. რაიონში შექმნილია ორი ასეთი სემინარი — მიმდინარე პოლიტიკისა და პარტიის ისტორიის შემსწავლელი წრეების პროპაგანდისტებისათვის. მაგრამ ადგილზე შემოწმებამ ცხადყო, რომ პროპაგანდისტთა სემინარები ფაქტიურად არ მუშაობენ. მიმდინარე პოლიტიკის შემსწავლელი წრეების პროპაგანდისტთა სემინარს (ხელმძღვანელი პოლიტიკური განათლების კაბინეტის გამგე ა. დავითაძე) სასწავლო წლის განვლილ 6 თვეში ჩატარებული აქვს მხოლოდ ოთხი მეცადინეობა. მიმდინარე წლის იანვრამდე ყოველთვიურად ეწყობოდა სემინარის თითო მეცადინეობა, რომლებზეც მეტწილად განხილულია ზოგადი საკითხები. 18 იანვრიდან დღემდე აქ არც ერთი მეცადინეობა არ მოუწყვიათ. ასეთივე მდგომარეობაა პარტიის ისტორიის შემსწავლელი წრეების პროპაგანდისტთა სემინარის მუშაობაშიც.

საკვირველია, რომ ამ პერიოდში პროპაგანდისტთა სემინარების, პოლიტსკოლებისა და წრეების მუშაობით არავინ არ დაინტერესებულა. მხოლოდ და მხოლოდ ამით უნდა აიხსნას, რომ ბევრი წრე დღემდე არ შესდგომია პარტიის XXI ყრილობის მასალების შესწავლას. მაგალითისათვის მოვიყვანთ რაიაღმასკომის პირველადს პარტიულ ორგანიზაციასთან არსებულ საქართველოს კომპარტიის ისტორიის შემსწავლელი წრის მუშაობას. შემოწმების დღისათვის წრეში დაწყებული არ იყო პარტიის XXI ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა შესწავლა.

წრეში არც სხვა მხრივ არის სახარბიელო მდგომარეობა. მსმენელთა ერთი ნაწილი მეცადინეობათა უმრავლესობას არ დასწრებია. მსმენელი რ. გუნდაძე სასწავლო წლის განმავლობაში მხოლოდ ერთ მეცადინეობას დაესწრო, ხოლო მსმენელებს ა. ბერიძეს, დ. ქამადაძეს, ჯ. დავითაძეს, გ. დავითაძეს, გ. სარიშვილს შ. ქამადაძეს, ა. მიქელაძეს და სხვებს ოვითეულს 5-9 მეცადინეობა აქვს გაცდენილი.

განა ამის შემდეგ გასაკვირველია, რომ მსმენელები შ. ქამადაძე, გ. დავითაძე, ვ. თურმანიძე, შ. დავითაძე და სხვები ცუდად ერკვევიან პროგრამულ საკითხებში?

როგორ მუშაობს თვით პარტიული ორგანიზაცია და მისი ბიურო? საანგარიშო-საარჩევნო კრების შემდეგ, 5 თვეში, პარტიული კრება მხოლოდ ოთხჯერ მოიწვიეს. 11 მარტს კრებაზე იდგა იდეოლოგიური მუშაობის საკითხი, მაგრამ იგი იმდენად ზერელედ და ფორმალურად განიხილეს, რომ ფაქტიურად მას არავითარი პრაქტიკული შედეგი არ მოჰყოლია. ამ საკითხზე კამათში მხოლოდ სამი კომუნისტი გამოვიდა და მათაც საქმიანი არაფერი უთქვამთ წრის მუშაობის გაუმჯობესებისათვის. კრებაზე არ დაუსახელებიათ სწავლაში ჩამორჩენილი და მეცადინეობის სისტემატურად გამცდენი მსმენელები.

პარტიული ორგანიზაციაში რეგულარულად არც ბიუროს სხდომები ეწყობა. საკმარისია ითქვას, რომ ექვს თვეში მოწვეულია პარტბიუროს მხოლოდ ორი სხდომა.

დაკისრებულ მოვალეობას მთელი პასუხისმგებლობით არ ეკიდება პროპაგანდისტი, რაიონის მთავარი ექიმი რ. სურმანიძე. იგი გულდასმით არ ემზადება მეცადინეობისათვის, ხოლო ზოგჯერ, როგორც თვითონ აღიარა, მსმენელებს პირდაპირ სახელმძღვანელოდან უკითხავს მასალას. პროპაგანდისტს არ აღმოაჩნდა თეზისებიც.

ყველაფერი ეს ხდება პარტიის შუახევის რაიკომის გვერდით, იმავე შენობაში. განა ამას ეძახიან პარტიის რაიკომის მუშაკები პარტიულ განათლებისადმი ხელმძღვანელობასა და დახმარებას?

დ. პაიჭაძე,
„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

რედაქციის ფოსტიდან

საინტერესო ფურცლები

კომუნისტური საზოგადოების გაშლილ მშენებლობის პერიოდში კიდევ უფრო იზრდება იდეოლოგიური მუშაობის მნიშვნელობა, მასების კომუნისტური სულისკვეთებით აღზრდის ამოცანები. ამ საქმეში ერთ-ერთი გადამწყვეტი როლი ეკუთვნის საბჭოთა პრესას, რომელიც მოვალეა სისტემატურად და კვალიფიცურად გააუქმოს იდეოლოგიური მუშაობის საკითხები, განაზოგადოს დადებითი გამოცდილება ამ დარგში, მოელი სიმწვავით გააკრიტიკოს ნაკლოვანებანი.

რესპუბლიკის რაიონული, საქალაქო და საოლქო გაზეთები უკანასკნელ ხანებში მეტ ყურადღებას აქცევენ პარტიული განათლების, კულტურის, იდეოლოგიური მუშაობის საკითხებზე მასალების გამოქვეყნებას.

საქართველოს კპ ჩოხატაურის რაიკომისა და მშრომელთა დეპუტატების რაისაბჭოს ორგანომ „ბრძოლის დროშამ“ 29 მარტის მთელი ნომერი იდეოლოგიური მუშაობის საკითხებს მიუძღვნა.

მოწონავე წერილში რედაქცია აცნობს მკითხველებს იმ საქმიანობას, რასაც რაიონის პარტიული ორგანიზაციები ეწევიან სკკპ XXI ყრილობის ისტორიული დოკუმენტების ფართო პროპაგანდისათვის.

გაზეთის პირველ გვერდზე გამოქვეყნებულია აგრეთვე საინტერესო წერილები სათაურებით: „გავაძლიეროთ ლექციური პროპაგანდა“, „თეორიული სწავლება ცხოვრებასთან კავშირში“.

გაზეთის მეორე და მესამე გაშლილ გვერდებში აწყობილია — „იდეოლოგიური მუშაობის კიდევ უფრო ამაღლებით აქტიურად შევუწყოთ ხელი სკკპ XXI ყრილობის დიდებულ წინასწარდასახულობათა განხორციელებას“ — დაბეჭდილია მასალები აგიტატორების, აგიტკოლექტივების, თვალსაჩინო აგიტაციის, კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა შესახებ.

ი. ცინცაძე წერილში „ყრილობის დიადი აზრები“ აგვიწერს, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს კონკრეტულობას პროპაგანდისტულ საქმიანობაში.

იგი წერს:

„...როდესაც ჩვენ ვუამბეთ, რომ ჩვენს ქვეყანაში ფოლადის წარმოება 1965 წელს 86-91 მილიონ ტონას მიაღწევს, ამან დიდი შთაბეჭდილება ვერ მოახდინა... მაგრამ ავუხსენით თუ არა, რომ ამ ფოლადიდან შეიძლება დამზადდეს 20 მილიონი ავტობუსი, რომლებშიც ერთდროულად მოთავსდება ჩინეთის სახალხო რესპუბლიკისა და საბჭოთა კავშირის მთელი მოსახლეობა, ე. ი. 800 მილიონზე მეტი ადამიანი, სახეებზე კმაყოფილებისა და სიხარულის ღიმილი გამოიხატა. მათ ავუხსენით, რომ ნავთობისაგან მზადდება 250 სხვადასხვა ნაწარმი და 1965 წელს საბჭოთა ქვეყანა მიიღებს 240 მილიონ ტონა ნავთობს, ხოლო ამ ციფრის წარმოსადგენად მოვიყვანეთ მაგალითი: ეს უდრის წყლის იმ რაოდენობას, რასაც მდინარე ვოლგა ერთი წლის განმავლობაში შეიტანს კასპიის ზღვაში“.

რაიაღმასკომის კულტურის განყოფილების ინსპექტორი ს. ჟღენტი წერილში — „რაიონის კულტურის დაწესებულებანი ახალ შვიდწლედში“ წერს:

„დიდად გაიზრდება რაიონში კულტურის დაწესებულებათა ქსელი. ამუამად არსებული 5 კულტურის სახლის ნაცვლად 1965 წელს გვექნება 10, სასოფლო კლუბი — 26, სასოფლო ბიბლიოთეკა — 24 ნაცვლად 18-ისა. შვიდწლიანი გეგმით გათვალისწინებულია, რომ არც ერთი კოლმეურნეობა, საბჭოთა მეურნეობა, წარმოება 1965 წელს არ უნდა დარჩეს ისე, რომ საკუთარი კინოდანადგარი არ ექნეს“.

გაზეთი „ბრძოლის დროშის“ ეს ნომერი უთუოდ საინტერესოა.

საზოგადოებრივი კვების გაუმჯობესებისათვის

რუსთაველთა ინიციატივა

ამ დღეებში რუსთავის ქიმიკოსთა კულტურის სახლში მოეწყო ქალაქის საზოგადოებრივი კვების მუშაკთა აქტივის კრება. პარტიული და პროფკავშირული ორგანიზაციების წარმომადგენლებთან ერთად. კრებამ განიხილა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილება „საზოგადოებრივი კვების შემდგომი განვითარებისა და გაუმჯობესების შესახებ“.

აქტივის კრებამ მიიღო მიმართვა რესპუბლიკის საზოგადოებრივი კვების მუშაკებისა და პროფკავშირული ორგანიზაციებისადმი. მიმართვაში რუსთავის საზოგადოებრივი კვების მუშაკებმა იკისრეს ვალდებულებანი. კერძოდ, 1959-1961 წლების მანძილზე გადაიყვანენ ყველა რესტორანს, სასადილოს, სასაუზმეს, კაფეს, სასკოლო ბუფეტს და საზოგადოებრივი კვების სხვა საწარმოებს ნახევარფაბრიკატებზე მომარაგებაზე. ამ მიზნით ააშენებენ ფაბრიკა-სამზარეულოს, მოაწყობენ ფაბრიკა-სამზარეულოსთან სახლში გასაშვები სადილების საამქროს.

საზოგადოებრივი კვების საწარმოების ქსელის შემდგომი გაფართოების მიზნით ქალაქის მარკეტინგ ნაპარზე აშენდება ერთი რესტორანი, ნახევარფაბრიკატების მაღაზია, კაფე, სასადილო და ავტომატური სასაუზმე. ზედმეტი მომსახურე პერსონალის რიცხვის შემცირებით, შრომის ნაყოფიერების გაზრდით, დანაკარგების ლიკვიდაციით და სახადილოების მუშაობის შემდგომი გაუმჯობესებით მიმდინარე წლის 1 აპრილიდან შეამცირებენ კერძების ფასს 3 პროცენტით. ამასთან რუსთაველები ვალდებულებას კისრულობენ დაადგინონ კერძებზე მუდმივმოქმედი ფასები ნაცვლად კერძების ამჟამად მოქმედი უოველდღიური კალკულაციისა.

1959 წელს ისე მოაწყობენ სასადილოებისა და რესტორანების მუშაობას, რომ ფართოდ დანერგავენ ვაჭრობის მოწინავე მეთოდს — სადილების სახლებში გაშვებას.

მთელი რიგი ღონისძიებებია გათვალისწინებული ამიერკავკასიის ი. ბ. სტალინის სახელობის მეტალურგიული ქარხნის სასადილოების მუშაობის გასაუმჯობესებლად. კერძოდ, აქ მოხდება სასადილოების გაზზე გადაყვანა. რიხთვისაც წელს რეკონსტრუქცია გაუკეთდება საზოგადოებრივი კვების ყველა ობიექტს.

საზოგადოებრივი კვების საწარმოთა საკუთარი წარმოების ბორცით უზრუნველყოფისათვის ნავარაუდევია წელს გასუქონ 400 ღორი. ამასთან მოაშენებენ წყალმცურავ ფრინველს 3.000 ფრთის რაოდენობით.

აქტივის კრებამ მოუწოდა რესპუბლიკის საზოგადოებრივი კვების მუშაკებს და პროფკავშირულ ორგანიზაციებს გაშალონ სოციალისტური შეჯიბრება და ისე მოაწყონ მშრომელთა საზოგადოებრივი კვება, როგორც ეს დასახულია სკკპ XXI ყრილობის გადაწყვეტილებებით.

ზ. მერკვილაძე,
„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

საუნივერსიტეტო ვიხილავთ

პროფესორ გიორგი გერიძის წერილს

სახელგანთქმული ქართული ღვინის მარკისა და ღირსებისათვის

მეტი და მაღალხარისხოვანი ქართული ღვინო—სამშობლოს

ჩვენი რაიონის სოფლის მეურნეობის მუშაკთა დიდი ინტერესი გამოიწვია პროფესორ გ. ბერიძის წერილმა „სახელგანთქმული ქართული ღვინის მარკისა და ღირსებისათვის“, რომელიც გამოქვეყნებულია გაზეთ „კომუნისტის“ მიმდინარე წლის 26 მარტის ნომერში. გურჯაანელი მევენახეები და მეღვინეები მუშაობენ რა მშობლიური კომუნისტური პარტიის რიგგარეშე XXI ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებების განუხრელად შესრულებისათვის, ყოველი ღონისძიებით ცდილობენ მევენახეობიდან მიღებული პროდუქციის რაოდენობრივ ზრდასთან ერთად მიაღწიონ მისი ხარისხობრივი მაჩვენებლების ამაღლებასაც, მისცენ საბჭოთა ხალხს მეტი და მაღალხარისხოვანი ღვინო.

პროფესორი გ. ბერიძე თავის წერილში ბევრ სასარგებლო და საინტერესო მოსაზრებას აყენებს ღვინის ხარისხის შემდგომი გაუმჯობესებისათვის. ის აზრი, რომ ღვინო სადაც ძველდება მისი ჩამოსხმაც იქვე უნდა წარმოებედეს, სწორი და სასარგებლოა.

გურჯაანის რაიონის სოფლის მეურნეობის მშრომელები და მათ შორის მევენახეობა-მეღვინეობის სპეციალისტები ყოველთვის გულმოდგინედ სწავლობენ და პრაქტიკულადაც იყენებენ მეცნიერთა რჩევა-დარიგებას. მნიშვნელოვანწილად ამან განაპირობა რაიონში უკანასკნელი წლების მანძილზე მოპოვებული წარმატებანი. მაგრამ ამჟერად პროფესორ გ. ბერიძის წერილში გამოთქმულ ზოგიერთ მოსაზრებას ვერ გავიზიარებთ. ამას ვამბობთ ჩვენი მევენახეებისა და მეღვინეების მრავალი წლის პრაქტიკული გამოცდილების საფუძველზე.

პირველ რიგში გვინდა შევეხოთ იმ საკითხს, თუ სად არის უმჯობესი გავაშენოთ ვენახები, ციგვიმბორის მთის კალთების ურწყავ ნაკვეთებში თუ ალაზნის ველის სარწყავ ზონაში? ფერდობებზე გაშენებული ვენახები მართლაც ყველაზე მაღალხარისხოვან პროდუქციას იძლევა, მაგრამ ვფიქრობთ ამასთან ერთად გასათვალისწინებელია შემდეგი გარემოება: ავიღოთ თუნდაც კახეთის დ., კერძოდ, გურჯაანის რაიონის მაგალითი. ჯერ-ერთი, სავენახედ ვარგისი ფერდობები ძირითადად ათვისებულია; ამასთან ასეთ ადგილებზე გაშენებული ვენახის დამუშავება ძნელდება, რადგან სამანილი იარაღ-მანქანები ჯერჯერობით ნაკლები გვაქვს.

ამით იმის თქმა როდი გვინდა, რომ პროდუქციის ხარისხობრივ მაჩვენებელს ნაკლები მნიშვნელობა ჰქონდეს. მეცნიერებისაგან სწორედ ამას მოვითხოვთ, რომ შეიმუშაონ უფრო ეფექტიანი ღონისძიებანი დაბლობ და სარწყავ ადგილებში მაღალხარისხოვანი ყურძნის მოყვანის უზრუნველყოფისათვის. კონკრეტულად რომ ვთქვათ, საჭიროა ჩვენი რაიონის დაბლობ ზოლში, კერძოდ სოფელ ჩუმლაყიდან სოფელ კარდანამდე, გაუჯრობდეს ნიადაგის სტრუქტურა და მოსცილდეს მას გრუნტის წყლები. რაც შეეხება ვენახების რწყვას, ეს ჩვენ ერთ-ერთ აუცილებელ და დიდად სასარგებლო აგროტექნიკურ ღონისძიებად მიგვაჩნია, თუ იგი გამოყენებულ იქნება გარკვეულ პერიოდებში, სახელდობრ, ყურძნის სიმწიფეში შესვლამდე, როცა ნიადაგი წყლის სიმცირეს განიცდის.

დასახულია ამოცანა, რომ საქართველოში შეიდწლედის ბოლოსათვის ყურძნის მოსავალი გაიზარდოს 2,2-ჯერ. მევენახეობის ძირითადი რაიონები კახეთში საკმაოდ გვაქვს იანია, და თუ არა ხელოვნური რწყვით, სხვა რა ხელმისაწვდომი ღონისძიებით შეგვიძლია ყურძნის მოსავლიანობის გადიდება? უფრო მეტიც, მევენახეები მოითხოვენ კიდევ უფრო გაფართოვდეს სარწყავი ქსელი, და ეს მოთხოვნა სამართლიანია. კაპრეთის ზონის საკმაოდ დიდი სავარგულები, რომლებიც ახლა ჩვენს რაიონში შედის, საკვინაბედ საუკეთესოა, თუ მორწყვის საშუალება გვექნება. ამ ზონაში მევენახეობის ჩამორჩენის პირველ რიგში სწორედ წყალი ნალექები და ხშირი გვალვები იწვევს.

პროფესორი გ. ბერიძე თავის წერილში ამბობს: „ვაზის ძლიერი დატვირთვის დროს ყურძნის მტევნის შემადგენელ ნაწილებში მორიმლავ ნივთიერებათა ოდენობა ჭარბია, რაც თავის მხრივ უარყოფით გავლენას ახდენს ღვინის ტიპიურობაზე“. ჩვენ ეჭვი არ გვეპარება ამ აზრის ჭეშმარიტებაში, რაც მეცნიერული კვლევით არის დადასტურებული. მაგრამ ამ აზრს შემდგომი განვითარება ესაჭიროება, რათა ხელი არ ავიღოთ ვაზის მაღალ დატვირთვაზე, რაც ყურძნის მოსავლიანობის ზრდის ერთ-ერთ მძლავრ საშუალებას წარმოადგენს. აუცილებელია მეცნიერები დაინტერესდნენ და გადაჭრან ის საკითხიც, თუ როგორ შეიძლება მაღალხარისხოვანი ყურძნის მიღება ვაზის მაღალი დატვირთვის პირობებში.

ცნობილია, რომ ველისციხის ზონა დღემდე ითვლებოდა დაბალი ხარისხის ღვინომასალის მომცემ მიკროაიონად და მეღვინეები ურჩევდენ ამ ღვინოების გამოყენებას საკონიაკე სპირტის გამოსახდელად. უკანასკნელ წლებში ველისციხის ღვინის ქარხანაში მზადდება საუკეთესო ხარისხის № 3 და № 23 ღვინომასალა, რომელიც მშრომელთა საერთო მოწონებას იწვევს. ამასთან ეს ღვინო მიღებულია სოფელ ვილისციხის კოლმეურნეობათა იმ სარწყავი ვენახების ყურძნიდან, რომლებმაც ჰექტარზე მეტად დიდი მოსავალი მოგვცეს. აქედან ცხადი ხდება, რომ ღვინის ხარისხი დიდად არის დამოკიდებული თვით მეღვინეზე, რომელიც დაინტერესებული უნდა იყოს მაღალი ხარისხის ღვინის დაყენებით.

სელექციონერების მიერ დღემდე გაწეულმა მუშაობამ ავადმყოფობათა გამძლე ვაზის ჯიშების შექმნისათვის ჯერ კიდევ სასურველ შედეგს ვერ მიაღწია. კარგი იქნება, რომ მეცნიერები გააძლიერებდნენ მუშაობას ვაზის არსებული ჯიშების სრულყოფისა და დაავადებათა წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტურ ღონისძიებათა შემუშავებისათვის. რატომ არ შეიძლება ერთი წამლობით დაავადებებისა და მავნებლების — კერძოდ ყურძნის ჭიის საწინააღმდეგ ბრძოლა ალკვეთილ? ამასთანავე ვფიქრობთ, რომ ძლიერი დატვირთვის შემთხვევაში სასუქების გამოყენების მტკიცე რეჟიმთან ერთად აუცილებელია ვაზს მიეცეს მაღალი შტამბი, გაიშალოს ოთხწყვილა შპალერზე მაინც, განსაკუთრებული გულისყურით ჩატარდეს წამლობა და მწვანე ოპერაციები, რათა ვეგეტაციის მთელ პერიოდში მცენარეს ჰქონდეს აერაციისა და მზის სხივებით სარგებლობის საუკეთესო პირობები, არ გაუჩნდეს დაავადებანი და არ დაუზიანოს მავნებლებმა.

ამ მხრივ ... ჩვენს რაიონში ... უკვე აქვს ერთ-... გვარი გამოცდილება სოფელ შრომის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის კომუნისტური შრომის ბრიგადას, რომელსაც მ. მარჩილაშვილი ხელმძღვანელობს. ამ გამოცდილებას რაიონის სხვა კოლმეურნეობებშიც ვნერგავთ. ვაზის ძლიერი დატვირთვისას ყურძნის მაღალ ხარისხსაც თუ მივაღწიეთ, რაც სავსებით შესაძლებელია, რით იქნება მისგან დაყენებული ღვინო სხვა ღვინოებზე ნაკლები?

უდავოა, რომ ღვინის ხარისხისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, თუ როგორ და რა პირობებში მოეწყობა ყურძნის გადამუშავება, აგრეთვე ღვინომასალის დამუშავება. ყურძენი უნდა იკრიფებოდეს ცალცალკე. ცალკე მაღალი ხარისხისა და ცალკე შედარებით დაბალი ხარისხისა, რასაც, სამართლე რომ ითქვას, დღემდე საჭირო ყურადღებას არ ვაქცევთ. ჩვენი აზრით, დაავადებული მტევნები არ უნდა გადამუშავდეს ღვინომასალისათვის, ისინი შეიძლება გამოვიყენოთ ნედლი სპირტის დასამზადებლად, ხოლო შედარებით ნაკლებშაქრიანი ყურძნიდან შეიძლება დავამზადოთ მაღალხარისხოვანი ყურძნის წვენი, რომელიც უაღრესად სასარგებლოა ადამიანის ჯანმრთელობისათვის. ამ საფუძველზე ჩვენ დავასკვნით, რომ ყურძენი ჩვენ დავამუშავებთ ისე, რომ ყურძნიდან უნდა მივიღოთ არაერთი სახის, არამედ მრავალი სახის პროდუქცია. ყურძნის წარმოების დადებითის საშუალებანი ხელიდან არ უნდა გავუშვათ.

ამასთან ყურძნის საკრეფად ჯერ კიდევ ბევრგან იყენებენ ლითონის ჭურჭელს, რაც უარყოფითად მოქმედებს პროდუქციის ხარისხზე. ყურძნის გადამუშავებაც კი ხდება ისეთი მანქანებით, რომლებსაც შავი ლითონის დეტალები აქვს. აგრეთვე სასარგებლო იქნება, თუ ხმარებიდან გამოვა რკინა-ბეტონის ბუტები. საჭიროა რკინა-ბეტონის ნაცვლად მასობრივად დამზადდეს ბომინანქრებული აუზები, უჟანგავი ნივთიერებებით დაიფაროს აგრეთვე ტექნიკური დანადგარები. მტკიცნეულად დგას აგრეთვე ღვინის ქარხნებში სათავსების საკითხი. ტაბლის დოღილი და ღვინომასალის შენახვა მეტწილად ღია ცის ქვეშ ხდება, სადაც ძნელდება ტემპერატურის დაცვა და თანაც ადგილი აქვს დიდ დანაკარგებს. უკანასკნელ წლებში მეღვინეები გაიტაცა ღვინის გამოსავლიანობის მაღალმა პროცენტმა. ქარხნებს ეძლევათ გეგმა მიიღონ 69-70 პროცენტი ღვინო, რაც უარყოფით გავლენას ახდენს ღვინის ხარისხზე. გეგმის შესრულებისათვის ქარხანა იძულებული ხდება ზედმეტად გამოქაჩოს ჭაჭა და ლექიც კი. ყოველივე ამას ზიანი მოაქვს ხარისხოვანი მეღვინეობისათვის. ჭაჭასა და ლექში გაყოლილი სპირტის მიღება ხომ მათი გამოხდით შეიძლება. ამით სახელმწიფოს დანაკარგები არ ექნება.

ქართული ღვინოების ტექნოლოგია, რომელიც უცვლელად რჩება როგორც შაბლონი, შეუშავებულია დიდი ხნის წინათ. ღვინის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით საჭიროა საკვლევმა დაწესებულებებმა ხელი მოჰკიდონ ღვინის ტექნოლოგიის შემდგომ სრულყოფას. ნაყოფის გადამუშავების დროს ზოგჯერ სხვადასხვა ხარისხის ყურძენი ერთ ბუნკერში იყრება, რაც უარყოფითად მოქმედებს ამა თუ იმ მარკის ღვინოზე.

მევენახეობა-მეღვინეობის დარგის მუშაკთა ვალია დაიცვან და კიდევ უფრო გააუმჯობესონ ღვინის მარკა და ღირსება. ყოველ შესაძლო შემთხვევაში შექმნან ახალი მარკის ღვინოები. მაგრამ, ჩვენი აზრით, მარკების სიმრავლით მეტისმეტი გატაცებაც არ ივარგებს.

აი ძირითადად ის საკითხები, რომელთა გადაჭრა, ჩვენი აზრით, სხვა ღონისძიებებთან ერთად მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ხარისხოვანი მეღვინეობის განვითარებას.

გურჯაანის რაიონის მევენახეები და მეღვინეები ძალღონეს არ დაზოგავენ იმისათვის, რომ განუხრელად შეასრულონ პარტიის მიერ მათ წინაშე დასახული ამოცანა — სამშობლოს მისცენ საუკეთესო ხარისხის და ამასთან რაც შეიძლება მეტი ქართული ღვინო.

ა. დავითაშვილი.
საქართველოს კპ გურჯაანის რაიკომის პირველი მდივანი.

შვიდწლედის სიჰაგუკე

იჩეკებიან, ფრთიანდებიან...

საგარეჯოს რაიონის „საქართველომ“ თავისი არსებობა გასული წლის აპრილიდან დაიწყო. იგი ჩამოყალიბდა სამი სასოფლო-სამეურნეო არტელის — „კარლ მარქსის, ახალი შრომისა და შთა რუსთაველის სახელობის კოლმეურნეობათა ბაზაზე. კოლმეურნეობამ, რომელსაც ახალგაზრდა, ენერგიული სპეციალისტი გივი დუჩიძე ხელმძღვანელობს, მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწია როგორც მეცხოველეობის სხვა დარგებში, ისე მეფრინველეობაშიც. ჩვენ გადავწყვიტეთ გაგვეცნო მკითხველებისათვის კოლმეურნეობა „საქართველოს“ მეფრინველეთა წარმატებანი.

— შარშან კოლმეურნეობაში, — განაცხადა მეფრინველეობის ფერმის გამგემ, ზოოტექნიკოსმა გ. ქერთიშვილმა, — 57.800 ფრთა წოწილა გავზარდეთ. კვერცხმდებელი დედლების საშუალო წლიური რიცხვი ოთხი ათას ხუთას ფრთას უდრიდა. სულ 67 ათასამდე ფრთა ფრინველი გავზარდეთ.

როგორც საუბრიდან გამოირკვა, ეს რიცხვი 7-ჯერ აღემატება კოლმეურნეობა „საქართველოში“ შემავალ სამივე სასოფლო-სამეურნეო არტელში 1957 წელს მიღებულ ფრინველის რაოდენობას. გარდა ამისა, თუ სამივე კოლმეურნეობაში გაერთიანებამდე მიიღეს 180 ათასამდე ცალი კვერცხი, „საქართველოს“ მეფრინველეებმა ეს რიცხვი ორჯერ გაზარდეს. ერთ კვერცხმდებელ დედლზე ნაცვლად გათვალისწინებული 80 კვერცხისა მიღებულია 86.

...თვითრხალათან, შავთვალწარბა გოგონას, რომელსაც საკენკით სავსე ჯამი უჭირავს. ჭიაკვლევასავით შემოხვეულან წოწილები. ეს ახალგაზრდა მოწინავე მეფრინველე გ. გვარამაძეა. თავის თანაკლასელ ლ. დარბაისელთან და ლ. ილაურთან ერთად მან საშუალო სკოლის დამთავრებისთანავე მეფრინველეობის ფერმას მიაშურა. შრომას მოწადინებულმა გოგონებმა თავიდანვე საქმისადმი დიდი ერთგულება გამოიჩინეს. იყენებდნენ რა მეფრინველეობის № 3 ბრიგადის ბრიგადირის, თავიანთი ხელმძღვანელის მ. ქაიხოსროშვილის მდიდარ გამოცდილებას, მათ საუკეთესო მაჩვენებლებს მიაღწიეს. ამჟამად ამ ფერმაში, სადაც მოზარდი ფრინველის გაზრდას ემსახურებიან, 8 ათასი ფრთა ფრინველი გამოიყვანეს, ხოლო მ. ქაიხოსროშვილის ბრიგადის წევრებმა 5 ათასი წიწილა გაზარდეს.

ფერმაში მოზარდეულის კვება მოწყობილი აქვთ ზუსტად რაციონის მიხედვით. წიწილებს 10 დღემდე აძლევენ კვერცხს (1.000 ფრთაზე 50 ცალს). შემდეგ თანდათანობით ურიგენენ მოსალულ სიმინდის ფქვილს. ამას მნიშვნელობა აქვს, ვინაიდან სიმინდს შეიძლება ჰქონდეს სუნი და რაიმე დაავადება. ფრინველის მომნელებელი სისტემის დეზინფიკაციისათვის იყენებენ ხაქოს. წიწილებს აძლევენ აგრეთვე წითელ სტაფილოს — ავიტამინოზის საწინააღმდეგოდ, მზესუმზირას კოპტონს — მცენარეული ცილით უზრუნველყოფისათვის და სხვ. მოზარდეულს ყოველთვის დაავადებათა საწინააღმდეგოდ ფერმაში წარმატებით იყენებენ სხვა სამედიცინო საშუალებებსაც.

ფერმის სექციებში, სადაც ჰაერის ტემპერატურა მუდმივად ნორმალურია, პარაზიტების საწინააღმდეგოდ აბაზანებში აქვთ ხის ნაცარი. აქვე საკმაო რაოდენობით არის საკვებურები და სარწყულებლები.

— ყოველივე ეს, — ამბობს ბრიგადირი მ. ქაიხოსროშვილი, — საშუალებას მოგვცემს წელს ორი თვის ასაკამდე წიწილების რაოდენობა 98-99 პროცენტით შევინარჩუნოთ, ხოლო 6 თვემდე — არანაკლებ 95 პროცენტისა. ასეთი მაჩვენებლები აუცილებლად გვესაჭიროება, ვინაიდან კოლმეურნეობამ წელს ვალდებულება აიღო გაზარდოს 100 ათასი ფრთა ორნეული, ხოლო თვითეულ კვერცხმდებელ დედალზე უნდა მივიღოთ 110 ცალი კვერცხი.

— რამდენი ფრთა ფრინველი ჰყავს ამჟამად კოლმეურნეობას?

— ოცი ათასზე მეტი. აქედან კვერცხმდებელი დედალია 9.501.

— როგორ მიაღწიეთ ასეთ მაღალ მაჩვენებლებს?

— მეფრინველეობის დარგში ასეთი გარდატეხა, — გვიპასუხებს ფერმის გამგე, — შესაძლებელი გახდა კოლმეურნეობა აქტიური თავდადებული შრომით იმ პერსპექტიული შვიდწლიანი გეგმის განხორციელებისათვის, რომელიც ჩვენმა კოლმეურნეობამ დასახა.

აი ამ გეგმის შინაარსიც. 1965 წლისათვის კოლმეურნეობაში ქათმის საერთო სულადობა 30 ათასი ფრთით განისაზღვრება, კვერცხმდებელი დედლისა კი—27 ათასი ფრთით. კოლმეურნეები ვარაუდობენ სამ თვემდე გაზარდონ 131 ათასი ფრთა, რომლის 90 პროცენტი შენარჩუნებულ უნდა იქნას. საშუალოდ ერთ კვერცხმდებელ დედალზე უნდა მიიღონ 150 ცალი კვერცხი. სულ წლის ბოლოსათვის კოლმეურნეობა მიიღებს ოთხ მილიონზე მეტ ცალ კვერცხს და 1.535 ცენტნერ ფრინველის ხორცს.

სურათზე: მეფრინველეობის ფერმის მომვლელი გულნარა გვარამაძე.

შვიდწლიანი გეგმის განხორციელებას კოლმეურნეობა უკვე შეუდგა. შესდება და მომავალში კიდევ აშენდება რამდენიმე ათასი ფრთა ფრინველისათვის საჭირო შენობები...

საკვარილი სამშობლოს შემდგომი ზრდის გრანდიოზული პროგრამით აღფრთოვანებული სავარჯოელები სულ ახალ და ახალ შრომითს წარმატებებს აღწევენ. მათ მარტის ბოლოსათვის შეასრულეს სახელმწიფოსათვის კვერცხის მიყიდვის წლიური გეგმა.

— ეს ჩვენი საჩუქარია, — ამბობს გ. ქერთიშვილი, — საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მომავალი სესიისათვის. მომავალში კიდევ ბევრი რამ გვაქვს გასაკეთებელი. ვფიქრობთ არ შეგარცხვენთ არც ჩვენს თავს და არც ჩვენს კოლმეურნეობას.

ო. არობელიძე.

სურათზე: მეფრინველეობის ფერმის მომვლელი გულნარა გვარამაძე.

რაჭომ არის დაბალი წველადობა

— რამდენია მოწველილი ერთ საფურაქე ძროხაზე?

ეს კითხვა სოფელ იტრიის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ გ. კორკოტაძემ ისე გაიკვირვა, თითქოს პირველად ისმენსო.

— ჰოო!.. ბუხჰალტერი აქ რომ იყოს, ვეტყოდი, ზეპირად რა ვიცი, ფერმაში წავიდეთ, იქ ეცოდინებათ. — გვითხრა მან.

სამწუხაროდ, ფერმაშიც ვერავინ გვითხრა, რამდენს იწველიან ძროხები. მაგრამ მწველავმა პ. ტეფნაძემ ის კი თქვა: ხბოებს ყოფნითო.

ამ კოლმეურნეობაში მეტად დაბალია წველადობა. იანვარსა და თებერვალში საშუალოდ ერთ ძროხაზე მოწველილია 7 ლიტრი რძე, ანუ 73 ლიტრით ნაკლები შარშანდელ ამავე პერიოდთან შედარებით. რატომ იკლო წველადობამ? მიზეზი ის არის, რომ ძროხებს ცუდად უვლიან, ცუდად კვებავენ, მარტო ჩალასა და ბზეს აძლევენ, საკმაოდ ვერც სილოსს აძლევენ, რადგან ცოტა აქვთ. გასულ წელს სილოსის ჩადების დავალება კოლმეურნეობაში სანახევროდ შესრულდა. კოლმეურნეობის გამგეობა ყურადღებას არ აქცევს მეცხოველეობას, არ იბრძვის მტკიცე საკვები ბაზის შესაქმნელად.

რიგზე საქმე ვერც სოფელ ჩუმათელეთის კოლმეურნეობაშია (თავმჯდომარე გ. შუბითიძე), სადაც 20 მარტისათვის საშუალოდ ერთ ძროხაზე მოწველილი იყო 128 ლიტრი, მიღ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეცნიერების სიახლენი

„მოაზროვნე“ მანქანები

ბევრ საწარმოში გაგაოცებთ მუშების სიმცირე. ვრცელ საამქროებში ერთ-ორ კაცს თუ მოამწყრავთ თვალს. დანადგარები, ავტომატები თვით მანქანების ნებასურვილით მუშაობენ. ეს „მოაზროვნე“ მანქანები ზუსტად და შეუცდომლად წარმართავენ და აკონტროლებენ მთელ საწარმოო პროცესს.

ასეთ „მოაზროვნე“ მანქანებს ქმნიან ჩვენი მეცნიერები, ტექნიკოსები, წარმოების ნოვატორები...

ეი თბილისის ხელსაწყოთა მშენებლობის და ავტომატიზაციის საშუალებათა სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტი. დერეფნებში მუუდროვაა, კაბინეტებში და ლაბორატორიებში კი მეცნიერები დაუცხრომლად შრომობენ, რომ შექმნან „მოაზროვნე“ მანქანები. კეთდება რთული მათემატიკური გაანგარიშებები, დგება ნახაზები. შემოქმედებითი ძიება ჯიუტად მიიწევს მიზნისაკენ. ახე ქმნიან მომავლის მანქანებს, ახე წყვეტენ პრობლემატურ საკითხებს მეტალურგიულ, მანქანათსამშენებლო, ნავთობგადასამუშავებელ, ენერგეტიკულ, ქიმიურ მრეწველობაში ავტომატიზაციის განხორციელებისათვის.

თბილისის ხელსაწყოთა მშენებლობის და ავტომატიზაციის საშუალებათა სამეცნიერო-საკვლევმა ინსტიტუტმა თავისი საქმიანობა ძირითადად 1957 წლიდან დაიწყო. კოლექტივმა ბევრი სიძნელე გადალახა და წინ კიდევ ბევრი სიძნელეა გადასალახავი, რადგან ელექტრონული „ტვინით მოაზროვნე“ მანქანების შექმნა ახალი საქმეა არა მარტო საქართველოში, არამედ საბჭოთა კავშირში და მთელ მსოფლიოშიც.

და ინსტიტუტის კოლექტივმა შეძლო გაბედული ნაბიჯების გადადგმა ამ გაუკვალავ გზაზე. ავტორთა ჯგუფმა ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატის შ. ელევიჩის და ინჟინერ გ. ზედგინიძის ხელმძღვანელობით წარმატებით დაამუშავა თუჯის დნობის პროცესის ავტომატიზაციის საკითხები. მათ შექმნეს ორი ზონალური გამოსათვლელი მანქანა, რომლებიც არეგულირებს ბრძმედში თუჯის დნობის რეჟიმს.

თუჯის დნობის პროცესი რთულ ფიზიკურ და ქიმიურ გარდაქმნებს შეიცავს. შეიძლება ღუმელში წარმოიქმნას გაზების ღარული ამოხეთქვის საფრთხე. იგი თუ დროზე ვერ შენიშნეს, მებრძმედის მთელი შრომა ამაოდ ჩაივლის, შეიძლება ბრძმედიც გამოვიდეს მწყობრიდან. ახლა კი მებრძმედეს შეუძლია დამშვიდებული იყოს. ამ საფრთხეს ფიზიზლად დარაჯობს საიმედო მეგობარი — „მოაზროვნე“ მანქანა. იგი ბრძმედიდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე აკეთებს დასკვნას— არის თუ არა ბრძმედში პირობები გაზების ღარული ამოხეთქვისათვის, თუ არის, კერძოდ სად, და შემდეგ განკარგულებას აძლევს შემსრულებელ მექანიზმებს ჩატვირთოს ნახშირი გაზების ღარული ამოხეთქვის მოსალოდნელ ადგილზე. მეორე ზონალური მანქანა ახდენს ბრძმედის ქვედა ზონაში შემადგენლობის ანალიზს, სპეციალური აპარატის საშუალებით აწარმოებს აუცილებელ გაანგარიშებას და აფრთხილებს ოპერატორ ბრძმედის ქვედაში შემჩნეულ გადახრებზე.

მეტად მნიშვნელოვანია საბოლოო წარმოების პროცესების ავტომატიზაციის პრობლემა, რომელსაც ინსტიტუტში ამუშავებენ ბ. ბუკიასა და ა. შაპიროს ხელმძღვანელობით. თბილისის ფოლად-თუჯსამსხმელო ქარხანაში და ქუთაისის საავტომობილო ქარხნის სამსხმელო საამქროში ინერგება ახალი ტიპის მანქანები, რომლებიც ამ ინსტიტუტში შექმნეს

როგორც ცნობილია, სპეციალური მარკის თუჯის მისაღებად ნაზავში რამდენიმე შემდგენელი უნდა შეერიოს. საჭირო მარკის თუჯის გამოშვებისათვის ასეთი შემდგენლების რაოდენობის განსაზღვრა მეტად შრომატევადი პროცესია და ზოგჯერ 2-3 კვირას გრძელდება. ახალი გამოსათვლელი მანქანა კი ნაზავში 10 შემდგენლის რაოდენობას განსაზღვრავს 4 წუთში. ასეთი მანქანები განსაკუთრებით ეფექტური იქნება ავტომობილების, ძრავების მშენებლობაში და მრეწველობის იმ დარგებში, სადაც რთული ქიმიური შემადგენლობის ლეგირებულ თუჯს იყენებენ

ერთ-ერთი მანქანა გათვალისწინებულია ბოვის თბური რეჟიმის მასტაბილირებელი პარამეტრის გაანგარიშებისათვის. იგი ოსტატის თანაშემწე და მრჩეველია, დნობის დროს დროულად აცნობს მას თბური რეჟიმის დარღვევის მიზეზებს.

დიდი სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობა აქვს ფეროშენადნობთა ღუმელებში დნობის პროცესების ავტომატიზაციის განხორციელებას, რომლის გადაჭრისათვის ნაყოფიერად მუშაობენ ინჟინერ ო. ჩაჩანიძის ხელმძღვანელობით ინსტიტუტის მუშაკები ა. გაი, ა. ჩიქობავა, მ. მიზდრიკი და ი. შილოვი. მათ შექმნეს კომპლექსს პირველი მანქანა, რომელიც ოპტიმალური პარამეტრებით არეგულირებს ელექტროდების მდგომარეობას ფეროშენადნობთა ღუმელში.

ეს მანქანა ინერგება ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანაში. მანქანის საწარმოო გამოცდამ მოლოდინს გადააჭარბა. მისი გამოყენებით მნიშვნელოვნად იზრდება ღუმელების წარმადობა, უმჯობესდება ფეროშენადნობთა ხარისხი, მცირდება ელექტროენერგიის ხარჯვა.

ახლო მომავალში ამიერკავკასიის მძლავრი ენერგოსისტემის შექმნასთან დაკავშირებით ინსტიტუტის კოლექტივი დაუღალავად მუშაობს ისეთი მანქანების შექმნაზე, რომლებიც ავტომატურად დაიცავენ ძაბვის დონეს და სიხშირეს ქსელში, ყაირათიანად გაანაწილებენ ენერგოსიმძლავრეთა ნაკადებს. პირველი გამარჯვება ამ საქმეში უკვე მოპოვებულია: ინსტიტუტის მუშაკებმა მ. ტუღუშმა, დ. გოკიელმა, დ. ბაბუციძემ და ა. კუპავამ ინჟინერ ს. ელვინის ხელმძღვანელობით შექმნეს მანქანა, რომელიც ზუსტად და სწრაფად განსაზღვრავს ძაბვას და ენერგიის დანაკარგს 35-110 კილოვატი ძაბვის რადიალურ ქსელში.

თბილისის ხელსაწყოთა მშენებლობის და ავტომატიზაციის საშუალებათა სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტში კიდევ ბევრი ამოცანა გადაჭრეს საწარმოო პროცესების ავტომატიზაციის დარგში. მაგრამ წინ დიდი და პასუხსაგები ამოცანებია, რომლებიც სკკპ XXI ყრილობამ დასახა შვიდწლედში საწარმოო პროცესების კომპლექსური მექანიზაციისა და ავტომატიზაციის განხორციელებისათვის.

ინსტიტუტის კოლექტივს ეს შეგნებული აქვს და შემოქმედებით ძალებს არ იშურებს, რომ ყოველთვის იდგეს მშობლიური პარტიის მოწოდების სიმაღლეზე.

ა. ხუმუა.

* * *

სურათზე: თბილისის ხელსაწყოთა მშენებლობისა და ავტომატიზაციის საშუალებათა სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის თბილისელი ელექტრიკოსი ბ. ბუკიასა და ა. შაპიროს ხელმძღვანელობით შექმნილ ავტომატურ ანალიზატორ-ბიბლიოთეკაზე მუშაობენ.

ფოტო ბ. ბოგოლიუბოვისა.



ქართული ხელოვნების გამოფენა ოდესაში

საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმმა ქ. ოდესაში მოსახლეობისათვის ქართული ხელოვნების უმნიშვნელოვანესი ძეგლების გაცნობის მიზნით გაგზავნა მუზეუმის ფონდში დაცული ხელოვნების ნიმუშები როგორც ორიგინალების, ისე ფოტოსურათების სახით.

ექსპოზიცია აგებულია ისტორიული პრინციპის მიხედვით. უადრესი ძეგლი, რომელიც გამოფენაზე იქნება წარმოდგენილი, არის V საუკუნის მოზაიკა ბიჭვინთის სამნავიანი ბაზილიკიდან, VI საუკუნის კანკელის ფრაგმენტი წებელდიდან, VII საუკუნის მოზაიკა წრომის ტაძრის კონქიდან (ფრაგმენტი), კანკელების ფრაგმენტები მარტვილიდან (X ს.), საფარიდან (XI ს.) ხარების რელიეფური გამოსახულებით, ურთხვიდან (VI ს.), მერიიდან (XII-XIII სს.), შიო მღვიმედან (XI ს.).

ქართული მონუმენტური ფერწერიდან მნახველები გაეცნობიან დოდოს VII-XIV საუკუნეების ძეგლებს, მათ შორის ბერთუბნის „ქრისტეს დატირების“ კომპოზიციას, მარტვილის „ღვთისმშობელს ყრმით“ (XIII ს. დასაწყისი), ყინწვისის ანგელოზს (XII ს.), უბისის (XIV ს.) ფრესკას „დიოკლიტიანეს მიერ წმიდა გიორგის დაკითხვა“ და სხვ. ჭედური ხელოვნებიდან გამოფენაზე ნაჩვენები იქნება გელათის ცნობილი ტონდო წმიდა მამის გამოსახულებით (VI ს.), დავით კუროპალატის საწინამძღვრო ჯვარი, ბეჭა და ბეშქენ ოსიბარების ოქრომჭანდაკებლობის ნიმუშები გალვანოპლასტიკის სახით.

ქართული არქიტექტურის ძეგლებზე წარმოდგენას იძლევა 18 სტენდი 192 ფოტოთი.

გამოფენაზე არის ქართული XIX-XX საუკუნეების ფერწერის გამოჩენილი ოსტატების გ. გაბაშვილის, მ. თოიძის, ი. ნიკოლაძის, ლ. გუდიაშვილის, უ. ჯაფარიძის და ახალგაზრდა მხატვართა ნამუშევრები.

ნ. ლაშხი.

ბორის ძნელაძის ძეგლი ჭიათურაში

ჭიათურა. (საკ. კორ.). საქართველოს კომკავშირის 40 წლისთავის დღეები განსაკუთრებული ზეიმით აღნიშნეს მარგანეცის ქალაქის ახალგაზრდობამ, ყველა მმროელმა.

6 აპრილს დიდი გამოცოცხლება იყო მაღარო „ახალ ითხვისში“, სადაც უმთავრესად ახალგაზრდები მუშაობენ. ამ მაღაროსაკენ გაბუზყვეტილ ნაკადად მიეშართებოდნენ მანქანები. ამ დღეს აქ დანიშნული იყო საქართველოს კომკავშირის დამაარსებლის ბორის ძნელაძის ძეგლის გახსნა.

სრული ხუთი საათია. სახელდახელოდ მოწყობილ ტრიბუნაზე ადიან ქალაქის პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო და კომკავშირული ორგანიზაციების ხელმძღვანელები, აქვე არიან სტუმრები თბილისიდან, მოწინავე მაღაროელები. მიტინგს შესავალი სიტყვით ხსნის კომკავშირის ჭიათურის საქალაქო კომიტეტის მდივანი ამხ. ი. კობახიძე. იგი მიტინგის მონაწილეთა ტაშის გრიალში ძეგლს ხსნის თეთრ საბურველს. დამსწრეთა თვალწინ აღიმართა ბორის ძნელაძის შესანიშნავი ქანდაკება.

მიტინგზე მგზნებარე სიტყვებით გამოვიდნენ მაღარო „ახალი ითხვისის“ კომკავშირის კომიტეტის მდივანი ზ. ჩიქვილაძე, ძველი კომკავშირელი გ. ბიწაძე, საქართველოს მხატვართა კავშირის წარმომადგენელი, ხელოვნებისმცოდნე შ. კვასხვაძე, მესამე საშუალო სკოლის მოსწავლე თ. სარალიძე, ახალგაზრდა მუშა ი. გიორგაძე, ბორის ძნელაძისადმი მიძღვნილი საკუთარი ლექსები წაიკითხეს მაღაროელმა დამწყებმა პოეტებმა თ. გურჯიძემ და ო. ცარციძემ. მიტინგის მონაწილეებს მიესალმა პიონერთა დელეგაცია.

მაღაროს საყოფაცხოვრებო კომბინატის ეზოში, სადაც კარგ ბაღს აშენებენ, ბორის ძნელაძის ხსოვნის უკვდავსაყოფად დგას მისი ექვსმეტრიანი ბრინჯაოს მონუმენტი, რომლის ავტორები არიან ახალგაზრდა მოქანდაკეები თ. ჭყონია და ვ. ჯალაღანია.

სურათზე: ბორის ძნელაძის ძეგლის გახსნისადმი მიძღვნილი მიტინგი.

ფოტო ა. მაჭავარიანისა.



წერილები რედაქციას

მკურნალის უსულგულობა

ეს იყო ამას წინათ. მუშაობის დროს უცებ ავად გავხდი. მაღაროს ჯანპუნქტში ტემპერატურა გამიზომეს, თერმომეტრმა 39 გრადუსი და 2 ხაზი აჩვენა. უფროსმა ექთანმა გაფრინდაშვილმა მაშინვე სასწრაფო დახმარების მანქანა გამოიძახა, მიმართვა მომცა და საავადმყოფოში მოსათავსებლად გამგზავნა.

საავადმყოფოში ჩემთან ერთად ორი სხვა ავადმყოფიც მოიყვანეს. "მორიგე ექიმმა შ. შანიძემ ყველა გაგვსინჯა. ჟურნალში რაღაც ჩაიწერა, შემდეგ კი მომიბრუნდა და მითხრა, სიცხე, მართალია, დიდი გაქვს, 40 გრადუსამდეა, მაგრამ საავადმყოფოში ვერ მოგათავსებთ, ადგილი არა გვაქვსო, მირჩია, პოლიკლინიკაში წადით, 4 საათის შემდეგ ექიმი მოვა და საავადმყოფო ფურცელს გაგიხსნითო.

4 საათამდე დიდი დრო იყო, მე კი ფეხზე ძლივს ვიდექი სიცხისაგან შეწუხებული და ლოდინი სად შემეძლო. ძლივსძლივობით ისევ მაღაროს ჯანპუნქტს მივაღწიე. განცვიფრებულმა ექთანმა ზოგი რამ წამალი მომცა და მესაძლო დახმარება გამიწია. შემდეგ კი სახლში გამგზავნა, ცოლშვილი გულიანად მოგიელსო. სახლში სხვა ექიმი მოვიწვიე და კერძოდ ვიმკურნალე.

სამწუხაროა, რომ ჩვენს სამკურნალო დაწესებულებაში ჯერ კიდევ ეხვდებით ასეთ შეუწყნარებელ ფაქტს.

ანდრო თურმანიძე,
ჭიათურის ლენინის სახელობის მაღაროს ღამის მებაფერე.

* * *

რედაქციისაგან: ის, რაც ამხ. ა. თურმანიძეს შეემთხვა, მართლაც სამწუხაროა. ეს გვიჩვენებს, რომ აქა-იქ ჩვენს სამკურნალო დაწესებულებებში არიან ცალკეული ექიმები, რომლებიც კეთილსინდისიერად არ ასრულებენ თავიანთ პირდაპირ მოვალეობას, აბუჩად იგდებენ ავადმყოფებს, ცივად, უგულოდ ეპყრობიან მათ.

ავადმყოფებისადმი უგულო, უპასუხისმგებლო დამოკიდებულებაზე სხვა სიგნალებიც შემოვიდა რედაქციაში. ერთ-ერთი სიგნალი გვამცნობს მცხეთის საავადმყოფოში მომხდარ ამბავს. აქ სასწრაფოდ მოსამშობიარებლად მიუყვანიათ დუშეთის რაიონის სოფელ წითელსოფლის მცხოვრები რუსუდან ზაქარიას ასული ჩხუტიაშვილი. მიღებაზე უარი რომ არ ეთქვათ, ავადმყოფს განუცხადებია საგზარამოელი ვარო, მაგრამ საავადმყოფოში მაინც არ მოუთავსებიათ და მშობიარე ქალი უკანვე გაუსტუმრებიათ, ადგილი არა გვაქვსო.

მოყვანილი ფაქტები, ვფიქრობთ, სერიოზული მსჯელობის საგანი გახდება.

ჩვენი გულისტკივილი

როგორც კი სოფელ ნიგოითიდან ჭანჭათისკენ წახვალთ, თქვენს ყურადღებას მიიპყრობს გზის ორთავე მხარეს გადაშლილი ჩაის, ტუნგოს, მანდარინის ათობით ჰექტარი პლანტაციები.

მაგრამ მნახველი გულისტკივილით შენიშნავს იმასაც, რომ პლანტაციები სათანადოდ არ არის მოვლილი, ხოლო მანდარინის პლანტაციებს მეჩხერიც შეჰპარვია.

რა არის მიზეზიო, იკითხავთ. გეტყვით, ერთ-ერთი ძირითადი მიზეზია ცუდი გზები, პლანტაციებში თავის დროზე ვერ შეაქვთ საჭირო სასუქები.

ჯერ კიდევ ამ რვა წლის წინათ დაიწყო ნიგოითი-ჭანჭათის გზის გაყვანის სამუშაოები. პირველ დღეებში თითქოს ყველაფერი რიგზე იყო, მაგრამ საქმე ბოლომდე არ იქნა მიყვანილი.

ამას წინათ სოფელ ნიგოითის კოლმეურნეობის ხელმძღვანელობამ პლანტაციებში მისვალი გზის შესაკეთებლად ტრაქტორი გამოჰყო, მაგრამ შესრულებული სამუშაო დაბალი ხარისხისაა.

განა დასაშვებია, რომ სადგურ ნიგოითიდან ავტომანქანები სოფელ ჭანჭათში ხუთი სოფლის შემოვლით მოდიან და ისე მოაქვთ მინდვრის სასუქები.

გული სტკივათ ჩვენს გამრჯე კოლმეურნეებს, საყვედურით კითხულობენ ისინი: ნუთუ დრო არ არის მიღებულ იქნას გადამჭრელი ზომები აღნიშნული გზის წესრიგში მოყვანისათვის?

იმედია, ლანჩხუთის რაიონის ხელმძღვანელობა დადებით პასუხს გაგვცემს.

შ. მგელაძე.

ზერილების კვალდაკვალ

სადგურ გორის ბაქანზე ბუფეტების კანტორის № 4 კიოსკის გამყიდველი ა. ბაბაზაშვილი არღვევს ვაჭრობის წესებს, სამუშაო საათებში ხშირად ნასვამია, — გვწერდა მუშკორი.

გორის საქალაქო საბჭოს აღმასკომის ვაჭრობის განყოფილებიდან, სადაც წერილი ზომების მისაღებად გაიგზავნა, გვატყობინებენ, რომ წერილში მოყვანილი ფაქტები შემოწმებით დადასტურდა, გამყიდველი ა. ბაბაზაშვილი განთავისუფლებულია თანამდებობიდან.

როგორ ნადგურდება კულტურის ძეგლი

სოფელ მეტეხის შუაგულში ამაყად აღმართულა ქართული არქიტექტურის უძველესი ძეგლი — ღვთისმშობლის ტაძარი, რომელიც აგებულია 1583 წელს. ეს ძეგლი, რომელიც მნახველის ყურადღებას იპყრობს თავისი სიძველითა და არქიტექტურული გაფორმებით, უყურადღებოდ არის მიტოვებული. ტაძრის ფართო ეზო, რომელსაც გარს არტყია ქვიტკირის გალავანი, სავსეა სხვადასხვა ნაგავით — მწყობრიდან გამოსული სასოფლო-სამეურნეო მანქანაიარაღებით, ცარიელი კასრებით. ტაძრის შიგნით კი კოლმეურნეობას მარცვლეულის საწყობი აქვს მოთავსებული. გამონგრეულია ტაძრის კედლების კუთხეები. გემოვნებით დათლილი ქვებიც იქეა ყრია.

სავალალოა, რომ ჩვენამდე მოღწეული, საუკუნეებგამოვლილი კულტურის ამ ძეგლის განადგურება კასპის რაიონის მეტეხის სასოფლო-საბჭოსა და კოლმეურნეობის ხელმძღვანელებს ნაკლებად აწუხებთ.

ნ. ჯიოშვილი.

მოსკოვის მშენებლებმა მიიღეს თბილისელების წინადადება

მოსკოვი, 8 აპრილი. (ტელეფონით სპეც. კორ.). **დღეს მოსამშენის პირველი ტრესტის მე-6 სამშენებლო სამმართველოს პეტრე სმირნოვის** კომპლექსურ ბრიგადაში სამუშაო ჯერ არ დამთავრებულიყო, როცა მათ მიიღეს მთავართბილმშენის მე-9 სამშენებლო სამმართველოს მეორე უბნის რკინაბეტონის ასაწყობი კონსტრუქციების გიორგი ელიკაშვილის კომპლექსური ბრიგადის წერილი, რომელიც დაიბეჭდა „კომუნისტის“ 7 აპრილის ნომერში.

თბილისელი მშენებლების მარათმა, სადაც გამოთქმულია მეგობრობის, ძმობისა და გამოცდილების ურთიერთ გაზიარების სურვილი, პ. სმირნოვის კომპლექსურ ბრიგადაში გამოიწვია სიხარული. პ. სმირნოვის ბრიგადამ ერთსულოვნად მიიღო თბილისელი მშენებლების წინადადება. მოსკოველებმა გაამზადეს საპასუხო მარათი.

პ. სმირნოვის ბრიგადის მუშაობით დაინტერესდა საქართველოს მშენებელ სპეციალისტთა ჯგუფი, რომელიც გამოცდილების გასაზიარებლად ამჟამად იმყოფება მოსკოვში.

საინფორმაციო ცნობა

ჩინეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის VII პლენუმის შესახებ

პეკინი, 8 აპრილი. (საკდესი). როგორც სინხუას სააგენტო იუწყება, 2-5 აპრილს შანხაიში გაიმართა ჩინეთის კომუნისტური პარტიის მერვე მოწვევის ცენტრალური კომიტეტის VII პლენუმი.

პლენუმმა განიხილა და მიიღო ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის 1959 წლის სახალხო-სამეურნეო გეგმის პროექტი, შეკამწმა სასოფლო რაიონებში სახალხო კომუნების მოსაწესრიგებლად გაწეული მუშაობა, განსაზღვრა კანდიტურები სახელმწიფოს ხელმძღვანელ პოსტებზე.

სრული და ყოველმხრივი განხილვის შემდეგ პლენუმმა მიიღო ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის 1959 წლის სახალხო-სამეურნეო გეგმის პროექტი. ეს პროექტი შედგენილია ჩინეთის კომუნისტური პარტიის მერვე მოწვევის ცენტრალური კომიტეტის VI პლენუმის მიერ წამოყენებული ოთხი უმნიშვნელოვანესი მაჩვენებლის საფუძველზე, რომლებიც ითვალისწინებენ მიმდინარე წელს 18 მილიონი ტონა ფოლადის, 380 მილიონი ტონა ქვანახშირის, 1.050 მილიარდი ძონი (525 მილიონი ტონა) მარცვლეულის და 100 მილიონი დანი (5 მილიონი ტონა) ბამბის წარმოებას, აგრეთვე მიმდინარე წლის პირველ კვარტალში წარმოებისა და კაპიტალური მშენებლობის მდგომარეობის საფუძველზე. სახალხო-სამეურნეო გეგმის პროექტის შედგენის მსვლელობაში სათანადოდ იყო გათვალისწინებული მატერიალურ-ტექნიკური პირობების ობიექტური შესაძლებლობა და ჩინეთის ხალხთა მასების რევოლუციური აღმავლობის სუბიექტური აქტივობა.

პლენუმმა შეაჯამწმა სასოფლო რაიონებში სახალხო კომუნების მოსაწესრიგებლად გაწეული მუშაობა, რომელიც წინა პლენუმის შემდეგ ხორციელდება.

პლენუმი აღნიშნავს, რომ უკანასკნელ სამ თვეში სახალხო კომუნების მოსაწესრიგებლად გაწეული მუშაობა მიმდინარეობდა კარგად, ნაყოფიერად, რომ თანმიმდევრულად ხორციელდება ჩინეთის კომუნისტური პარტიის მერვე მოწვევის ცენტრალური კომიტეტის VI პლენუმის (გაიმართა 1958 წლის დეკემბერში) გადაწყვეტილება „ზოგიერთი საკითხის შესახებ, რომლებიც სახალხო კომუნებს შეეხებიან“, რომ სასოფლო რაიონებში სახალხო კომუნებისათვის მოძრაობის განვითარება ჯანსაღია. პლენუმმა შემდგომ შეაჯამა საკითხები, რომლებიც წარმოიშვა სახალხო კომუნების მოწესრიგებისათვის მუშაობაში, და განსაზღვრა კონკრეტული ღონისძიებანი მათ გადასაჭრელად. პლენუმმა გამოთქვა რწმენა, რომ სასოფლო რაიონებში სახალხო კომუნების შემდგომი მოწესრიგების შედეგად დროის გარკვეულ მონაკვეთში ეს კომუნები კიდევ უფრო მეტად განმტკიცდებიან და განვითარდებიან.

პლენუმმა განიხილა და განსაზღვრა კანდიდატურები ხელმძღვანელ სახელმწიფო პოსტებზე. სხვადასხვა მხარესთან კონსულტაციის შემდეგ ეს კანდიდატურები წარიდგინებთან სრულიად ჩინეთის სახალხო წარმომადგენელთა მეორე მოწვევის კრების პირველ სესიას.

პლენუმი მიმდინარეობდა ამხანაგ მაო ძე-დუნის თავმჯდომარეობით. პლენუმზე ამხანაგმა მაო ძე-დუნმა წარმოთქვა დიდმნიშვნელოვანი სიტყვა მუშაობის მეთოდების საკითხზე.

მერვე მოწვევის ცენტრალური კომიტეტის VII პლენუმამდე გაიმართა ჩინეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს გაფართოებული სხდომა, რომელიც პლენუმისათვის მზადება იყო.

მშვიდობისმოყვარე ძალები

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXI ყრილობაზე ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენებასა და ყრილობის რეზოლუციაში ჩამოყალიბებულია უაღრესად მნიშვნელოვანი დებულებანი ომების, როგორც საერთაშორისო პრობლემათა გადაჭრის საშუალების, თავიდან აცილების შესაძლებლობის შესახებ. ეს დებულებანი ემყარებიან მარქსიზმ-ლენინიზმის თეორიის შემოქმედებითს განვითარებას და გამომდინარეობენ იმ ცვლილებებიდან, რომლებიც ჩვენს ცხოვრებაში მოხდა და ხდება.

ცხოვრებამ მთლიანად დაადასტურა სკკპ XX ყრილობის დასკვნა იმის შესახებ, რომ არ არსებობს ომების ფატალური გარდუვალობა ადამიანთა საზოგადოების განვითარების თანამედროვე ეტაპზე. მშვიდობის ძალები ამჟამად გაიზარდა, ხოლო აგრესიისა და ომის ძალები უფრო სუსტი გახდა. ეს პროცესი გარდუვალად გაგრძელდება. შვიდწლიანი გეგმის შესრულების შედეგად უაღრესად გადიდება საბჭოთა კავშირის ძლიერება, შემდგომ განმტკიცდება მთელი სოციალისტური ბანაკის ძალები. ამასთან ერთად იმპერიალიზმის კოლონიური სისტემის შემდგომი დაშლის შედეგად გაფართოვდება „მშვიდობის ზონა“.

ამ პირობებში საერთაშორისო ასპარეზზე ძალთა თანაფარდობა შეიცვლება ძირითადად მშვიდობის მომხრეთა სასარგებლოდ, ომის აპოლოგეტების წინააღმდეგ. მშვიდობისმოყვარე ხალხები, სოციალისტური ბანაკის ძალებზე დაყრდნობით, მაშინ შეძლებენ აიძულონ იმპერიალისტური ქვეყნების აგრესიული წრეები ხელი აიღონ ახალი ომების გაჩაღებაზე. შეიქმნება შესაძლებლობა გამორიცხოს მსოფლიო ომი ადამიანთა საზოგადოების ცხოვრებიდან.

ამ თეორიულ დასკვნას, რომელიც სკკპ XXI ყრილობის ტრიბუნიდან გაისმა, უდიდესი პრაქტიკული და ისტორიული მნიშვნელობა აქვს. იგი აიარაღებს მშვიდობისათვის მებრძოლებს, განუმტკიცებს მათ თავიანთი საქმის სიმართლის რწმენას, რაზმავს მშვიდობის დროშის ქვეშ მშომელთა ფართო მასებს.

იმპერიალიზმის ეპოქაში ომების გარდუვალობის საკითხის გადაჭრისას მარქსიზმ-ლენინიზმი ემყარებოდა იმ დებულებას, რომ იმპერიალიზმის თვით ბუნებაშია მეტოქე სახელმწიფოებს შორის კონფლიქტებისა და ომების წყარო. სანამ კოსნალია იმპერიალიზმი, ეს ტენდენცია იცოცხლებს, და ომის საშიშროება იარსებებს. იმპერიალიზმის დროს ომის წყაროები მის ეკონომიურ საფუძველშია. „იმპერიალიზმი და მის მიერ წარმოშობილი ომები შემთხვევითი რამ კი არ არის, არამედ აუცილებელი პროდუქტია კაპიტალიზმისა, რომელმაც ფეთხანსური კაპიტალის ბატონობა გამოიწვია“ (ვ. ი. ლენინი).

იმპერიალიზმის ეპოქაში კაპიტალისტურ ქვეყნებს შორის სამხედრო კონფლიქტების შესაძლებლობა კი არ მცირდება, არამედ იზრდება კაპიტალისტური ქვეყნების უთანაბრო, ნახტომისებრი განვითარების კანონის მოქმედების შედეგად. ეს მარქსისტულ-ლენინური დებულება გამოშუშაებულ იქნა იმ პერიოდში, როცა იმპერიალიზმი ყოელისმომცველი მსოფლიო სისტემა იყო და როცა საზოგადოებრივი და პოლიტიკური ძალები, რომლებიც ომით არ იყენენ დაინტერესებულნი, სუსტი, არასაკმარად ორგანიზებული იყვნენ და ამის გამო არ შეეძლოთ ეიძულებინათ იმპერიალისტები ხელი აეღოთ ომზე. პირველი და მეორე მსოფლიო ომები, რომ აღარა ვთქვათ რა წარსული წლების სხვა სამხედრო კონფლიქტებზე, წარმოიშვა ისეთ პირობებში, როცა ხალხებს ჯერ კიდევ არა ჰქონდათ ძალები, რომ ისინი თავიდან აეცილებინათ.

სხვა მდგომარეობა იქმნება იმ პირობებში, როცა მსოფლიოში გაჩნდა მძლავრი ბანაკი სოციალისტური ქვეყნებისა, რომელთა განვითარების კანონები მშვიდობის განმტკიცებას მოითხოვს. თანამედროვე ეტაპზე ომები აღარ შეიძლება იყოს მხოლოდ ასახვა ეკონომიური მოვლენებისა იმპერიალისტურ ქვეყნებში. ამ საკითხის გადაჭრისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს მშვიდობისა და ომის ეკონომიური, კლასობრივი და პოლიტიკური ძალების თანაფარდობას დედამიწაზე, აგრეთვე იმ ადამიანთა ორგანიზებულობასა და შეგნებას, რომლებიც ომის წინააღმდეგ გამოდიან.

როგორია მშვიდობისა და ომის ძალების დღევანდელი თანაფარდობა დედამიწაზე? შეუძლიათ თუ არა მშვიდობის ძალებს თავიდან აიცილონ ომი?

მშვიდობის ძირითად ძალას, რომელიც აგრესიული იმპერიალისტური წრეების წინააღმდეგ გამოდის, წარმოადგენს სოციალისტური ქვეყნების ბანაკი, რომელსაც სათავეში უდგანან საბჭოთა კავშირი და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა. ამჟამად სოციალისტურ ქვეყნებში ერთ მილიარდამდე კაცი ცხოვრობს. სოციალისტურ სახელმწიფოებს უჭირავთ დედამიწის მთელი ტერიტორიის 25 პროცენტი და უშვებენ მსოფლიო სამრეწველო წარმოების პროდუქციის ერთ მესამედზე მეტს. სოციალისტური ქვეყნების სამრეწველო წარმოება წლითიწლობით იზრდება. მაგალითად, 1958 წელს იგი ხუთჯერ გადიდდა 1937 წლთან შედარებით. სოციალისტური ქვეყნების სახალხო-სამეურნეო გეგმები ითვალისწინებენ მათი ეკონომიკის უაღრესად სწრაფ განვითარებას. სსრ კავშირის შვიდწლიანი გეგმის მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნების ეკონომიკის განვითარების შედეგად მსოფლიო სოციალისტური სისტემა 1965 წელს მთელი მსოფლიო პროდუქციის ნახევარზე მეტს გამოუშვებს.

საკმარისია მსოფლიო სოციალისტური სისტემის ზრდის უკვე ეს რაოდენობრივი მაჩვენებლები, რომ ნათელი გახდეს, თუ რა უდიდეს ძალებს აერთიანებს იგი და რა დიდია მისი გავლენა საერთაშორისო ამბების განვითარებაზე. მაგრამ არ შეიძლება რაოდენობრივ მაჩვენებლებს განვიხილავდეთ სოციალისტური სისტემის განვითარების თვისებრივი თავისებურებებისაგან იზოლირებულად. სოციალისტური სახელმწიფოები ერთიან, მონოლითურ ბანაკს წარმოადგენენ. ისინი აერთიანებენ და ათანხმებენ თავიანთ საწარმოო ღონისძიებებს, მაშინ როცა კაპიტალისტურ ქვეყნებს ჯიჯგნის შეურიგებელი წინააღმდეგობები. რაც უფრო ვითარდებიან ცალკეული სოციალისტური ქვეყნები, მით უფრო იზრდება მთელი მსოფლიო სოციალისტური სისტემის შეკავშირება. სოციალისტურ ქვეყნებს თავიანთი საწარმოო და ნედლეულის რესურსების რაციონალური გამოყენების ფართო შესაძლებლობანი აქვთ, მაშინ როცა კაპიტალისტურ ქვეყნებში თვითეული მათგანის წინ წაწევა აძლიერებს კონკურენციას, იწვევს ინტერესთა შეჯახებას და ა. შ.

ამ პირობებში სოციალისტური სისტემის ქვეყნების ეკონომიური განვითარებას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. სსრ კავშირში შვიდწლიანი გეგმის განხორციელება იმდენად გაადიდებს ჩვენი ქვეყნის სამრეწველო პოტენციალს, რომ ეს ყველა სოციალისტური ქვეყნის ეკონომიური პოტენციალის ზრდასთან ერთად უზრუნველყოფს, როგორც XXI ყრილობაზე ამხანაგი ნ. ს. ხრუშჩოვი აღნიშნავდა, „გადამწყვეტ უპირატესობას ძალთა თანაფარდობაში საერთაშორისო ასპარეზზე მშვიდობის სასარგებლოდ, და ამრიგად წარმოშობა ახალი, კიდევ უფრო ხელშემწყობი პირობები მსოფლიო ომის თავიდან აცილებისათვის, დედამიწაზე მშვიდობის შენარჩუნებისათვის“.

მსოფლიო ასპარეზზე ძალთა თანაფარდობა მშვიდობისმოყვარე ქვეყნების სასარგებლოდ რომ შეიცვალა, ეს იმდენად აშკარაა, რომ ამას ახლა იმპერიალისტური წრეების წარმომადგენლებიც კი ვერ უარყოფენ. მაგალითად, ამას წინათ მსხვილმა ამერიკელმა ფინანსისტმა ეკლსმა აღიარა: „მსოფლიოში ძალთა თანაფარდობა შეიცვალა არა ჩვენს სასარგებლოდ... სავსებით ცხადი უნდა იყოს თავისუფალ

ყოველი მხრიდან

დასავლეთი ბერლინი — სოციალისტური ქვეყნების წინააღმდეგ საშიში ცენტრი

მალდივის კუნძულეგის ხალხის თავისუფლეგისათვის

სეატოს გლოკი ამერიკული იმპერიალიზმის დიდმნიშვნელოვანი იარაღია

გააფთრეგული გრძოლა ალჟირის მთელ ტერიტორიაზე

არ დავუშვათ დასავლეთ ბერლინის რევანშისტთა პროვოკაციული მიტინგი

ბერლინი, 7 აპრილი. (საკდესი). როგორც გაზეთი „ნოიეს დოიჩლანდი“ იუწყება, დიდი ბერლინის თავისუფალი გერმანული პროფკავშირების გაერთიანების ორგანიზაციის საოლქო გამგეობამ დასავლეთ ბერლინის ყველა მუშასა და პროფკავშირთა წევრს გაუგზავნა ღია წერილი 1 მაისის დღესასწაულისათვის მზადებასთან დაკავშირებით. წერილში აღნიშნულია, რომ გერმანული პროფკავშირების გაერთიანების დასავლეთ ბერლინის ორგანიზაციის ხელმძღვანელობამ მისი თავმჯდომარის შარნოვსკის ზეგავლენით გადაწყვიტა 1 მაისს მოაწყოს მიტინგი, რომელიც ემსახურება მხოლოდ და მხოლოდ მილიტარისტებისა და ადენაუერის პარტიის ინტერესებს. ამ მიტინგში მის ორგანიზატორთა განზრახვით მონაწილეობა უნდა მიიღონ აგრეთვე რევანშისტებმა ქრისტიან დემოკრატთა კავშირიდან, „გერმანული პარტიიდან“ და ყოფილმა სს-ელებმა.

სწორედ ახლა, ნათქვამია წერილში, როცა უახლოეს დროში უნდა მოხდეს გერმანიასთან საზავო ხელშეკრულებისა და ბერლინის საკითხის განხილვა საგარეო საქმეთა მინისტრების თათბირზე, სურთ 1 მაისის დღესასწაული გამოიყენონ იმისათვის, რომ გაართულონ მოლაპარაკება და ხელი შეუშალონ ამ პრობლემების მშვიდობიან გადაჭრას. ეს სავსებით ეწინააღმდეგება ყველა მშრომელთა სასიცოცხლო ინტერესებს, მათს მოთხოვნას მშვიდობისა და უშიშროების შესახებ.

დასასრულ თავისუფალი გერმანული პროფკავშირების გაერთიანების ორგანიზაცია მოუწოდებს დასავლეთ ბერლინის მუშებსა და პროფკავშირთა წევრებს საერთო ბრძოლისათვის გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების დასადებად, დასავლეთ ბერლინის დემილიტარიზაციისათვის.

ალჟირის ომის წინააღმდეგ

პარიზი, 7 აპრილი. (საკდესი). საფრანგეთის ქალაქ სენ-პანტენის ერთ-ერთი ქარხნის 700-ზე მეტმა მუშამ გაფიცვა მოაწყო ალჟირში ომის შეწყვეტის შესახებ თავიანთ მოთხოვნათა მხარდასაჭერად. გაფიცვის უშუალო მიზეზი გახდა ცნობა მათი ამხანაგის შორის კაპლენის სიკვდილის შესახებ, რომელიც გაწვეული იყო არმიაში და დაიღუპა კოლონიურ ომში ალჟირელი ხალხის წინააღმდეგ.

ფრანგული გაზეთები ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ ეს ომი სულ უფრო ახალ მსხვერპლს მოითხოვს ალჟირელი და ფრანგი ხალხებისაგან და ყველაზე მემარჯვენე გაზეთებიც კი აღიარებენ, რომ ბრძოლა, რაც ამჟამად წარმოებს ალჟირის მთელ ტერიტორიაზე საფრანგეთის ჯარებსა და ალჟირის ეროვნულ-განმათავისუფლებელი არმიის რაზმებს შორის, მეტად გააფთრებული ხასიათისაა. ალჟირში საფრანგეთის ჯარების შტაბის განცხადებით, ერთ კვირაში, 31 მარტიდან 5 აპრილამდე, ბრძოლის მსვლელობაში მოკლულია 767 ალჟირელი აჯანყებული და 27 ფრანგი ჯარისკაცი.

შეიქმნა კვიპროსის მთავრობა

ლონდონი, 7 აპრილი, (საკდესი). როგორც რეიტერის საგენტო იუწყება, კვიპროსის კუნძულზე შეიქმნა მთავრობა, რომელსაც სათავეში უდგას მთავარეპისკოპოსი მაკარიოსი.

მთავრობის შემადგენლობაშია 10 მინისტრი — 7 ბერძენი და 3 თურქი, აგრეთვე ორი მნინისტრის მოადგილე— ერთი ბერძენი და ერთი თურქი. მთავარეპისკოპოსი მაკარიოსი დროებით ხელმძღვანელობს აგრეთვე საგარეო საქმეთა სამინისტროს. პრემიერ-მინისტრის მოადგილეა ფაზილ ქუჩუკი (კვიპროსელი თურქების ლიდერი).

გამოფენა პრაღაში

პრაღა, 7 აპრილი. (საკდესი). პრაღაში გაიხსნა გამოფენა: „საქმე მარტო ბერლინს როდი ეხება“. გამოფენაზე თავმოყრილია დიდძალი დოკუმენტები, რომლებიც გვიჩვენებენ ბონის მმართველი წრეების მისწრაფებას ააღორძინონ რევანშიზმის ძალები და მესამე მსოფლიო ომში ჩაითრიონ ევროპა.

ერთ-ერთ დარბაზში წარმოდგენილია დასავლეთ ბერლინის დიდი რუკა, სადაც აღნიშნულია დასავლეთ გერმანიის, ამერიკისა და საფრანგეთის ჯაშუშური ცენტრები, რომელნიც ძირგამომთხრელ და დივერსიულ საქმიანობას ეწევიან საბჭოთა კავშირისა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნების წინააღმდეგ.

გამოფენის სხვა დოკუმენტები გვიჩვენებენ, რომ დასავლეთ გერმანია თავის ომისშემდგომ განვითარებაში აგრესიული ორგანიზაციის ნატოს მოწინავე ბაზა გახდა.

გამოფენის შთაბეჭდილებათა წიგნში ბევრია ჩანაწერი, რომლებიც ასახავენ ჩეხოსლოვაკიის საზოგადოებრიობის შეშფოთებას დასავლეთ გერმანიაში მილიტარიზმის აღორძინებისა და იმის გამო, რომ დასავლეთი ბერლინი გადაიქცა სოციალისტური ქვეყნების წინააღმდეგ იმპერიალისტური წრეების დივერსიული საქმიანობის საშიშ ცენტრად. ჩანაწერებში გადაჭრით ხაზგასმულია, რომ საჭიროა განზორციელდეს საბჭოთა კავშირის წინადადებანი იმის შესახებ, რომ რაც შეიძლება მალე დაიდოს საზავო ხელშეკრულება გერმანიასთან და დასავლეთ ბერლინი გადაიქცეს დემილიტარიზებულ თავისუფალ ქალაქად. საქმე მარტო ბერლინს კი არ ეხება, არამედ დასავლეთ გერმანიასაც, მთელი მსოფლიოს მშვიდობასაც.

მოსკოველთა საჩუქარი

გასული წლის ბოლოს მოსკოვის საქალაქო საბჭომ სოხუმის კეთილმოწყობისათვის და სანიმუშო სანიტარული წესრიგის დასაცავად გამოჰყო მთელი რიგი მექანიზმები, მანქანები და საშენი მასალები.

სოხუმის საქალაქო საბჭოს აღმასკომმა უკვე მიიღო ქუჩების სარეცხავი ორი მანქანა, ორი დამგველი, ორი თვითსაცლელი, ერთი გაზონების მცელავი, 200 ტონა ცემენტი, 140 კომპლექტი ავტოსაბურველი და სხვა სამშენებლო, სანიტარულ-ტექნიკური და ელექტროსამონტაჟო მასალები და მოწყობილობა. (საკ. კორ.).

მოსლი პოლიტიკურ ასპარეზზე მიძვრება

ლონდონი, 7 აპრილი. (საკდესი) ინგლისელი ფაშისტების მეთაური ო. მოსლი კვლავ გამოჩნდა პოლიტიკურ ასპარეზზე. ჰგონია რა, რომ მას შემდეგ, რაც ივა საპყრობილიდან გაათავისუფლეს „ცუდი ჯანმრთელობის გამო“, საკმაო დრო გავიდა, რათა დავიწყებოდათ მისი დანაშაულობანი, მოსლიმ გუშინ წინასაარჩევნო კრებაზე ლონდონში განაცხადა, რომ გადაწყვეტილი აქვს თავისი კანდიდატურა დასახელოს ინგლისის პარლამენტში.

როგორც რეიტერის საგენტო იუწყება, მოსლი იქნება წარმომადგენელი ორგანიზაციისა „უნიონისტური მოძრაობა“, რომელიც მეორე მსოფლიო ომამდე ცნობილი იყო „ბრიტანეთის ფაშისტთა კავშირის“ სახელწოდებით.

ირანელი ხალხი სასოწარკვეთილებაშია

თეირანი, 8 აპრილი. (საკდესი). გაზეთმა „მასლიაკმა“ მოათავსა ირანის მშრომელთა გაჭირვეულო დგომარეობისადმი მიძღვნილი სტატია. უბრალო ირანელები, წერს გაზეთი, მოხარული არიან, როცა მათ ეძლევათ შესაძლებლობა იყიდონ რამდენიმე გრამი ხორცი და შეჭამანდით დააპურონ ოჯახის 7-8 წევრი. მთელ თავიანთ დროს ადამიანები ანდომებენ ლუკმა პურის ძებნას, რათა შიმშილით არ დაიხოცონ.

მეშვიდის გაზეთი „ხოროსანი“ იუწყება, რომ რედაქციას ყოველდღე მოსდის მრავალი წერილი, რომელთა ავტორები უჩივიან კვების პროდუქტების, კერძოდ პურისა და ხორცის ფასის ამაღლების. „დაწერეთ თქვენს გაზეთში, — ნათქვამია წერილებში, — რომ ხალხი სასოწარკვეთილებაშია, საშინლად გაღატაკდა. მაგრამ არავინ აქცევს ყურადღებას მის ჩივილს. საჭიროა დღეში ერთხელ მაინც ვჭამოთ. მაგრამ გადასახადები და ფასები დღითიდღე სულ უფრო სწრაფად იზრდება. როგორ უნდა მოვიქცეთ?“.

კრიზისული მოვლენები თურქეთის მრეწველობაში

სტამბოლი, 7 აპრილი (საკდესი). კრიზისული მოვლენები, რომლებიც დღემდე საფეიერო მრეწველობაში იყო, გავრცელდა თურქეთის მრეწველობის სხვა დარგებზეც.

გაზეთი „ეთანი“ იუწყება, რომ კრიზისული მოვლენები დაიწყო რეზინის მრეწველობაში. ამ დარგის საწარმოებში დაიწყო მუშების დათხოვნა. დათხოვნილთა და იმათი რიცხვი, ვინც გაფრთხილება მიიღო დათხოვნის შესახებ, ახლა 1500 კაცს უდრის.

ფიქრობენ, წერს გაზეთი, რომ უმუშევართა რიცხვი გადიდდება.

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მოსახლეობის რიცხვი

ბონი, 7 აპრილი. (საკდესი). პრესაში გამოქვეყნებული ოფიციალური სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, 1958 წლის დამლევისათვის დასავლეთ გერმანიის ტერიტორიაზე საარის ოლქიანად, მაგრამ დასავლეთ ბერლინის ჩაუთვლელად, ცხოვრობდა 52,5 მილიონი კაცი, აქედან 24,7 მილიონი მამაკაცი და 27,8 მილიონი ქალი.



„მონკავშირის“ სტენდზე

გუშინ თბილისის „მონკავშირის“ სტენდზე დამთავრდა სამი მომძე რესპუბლიკის — ლიტვის, აზერბაიჯანისა და საქართველოს სპორტსმენთა ნაკრები კოლექტივების სამატჩო შეხვედრა სასტენდო სროლაში.

პირველ ორ დღეს ამინდი არახელსაყრელი იყო, ამიტომ მაჩვენებლებიც შედარებით დაბალი აღმოჩნდა. ადგილდასროლაში უძლიერესი იყო საქართველოს გუნდის წარმომადგენელი სპორტის ოსტატი ი. საგანელიძე, რომელმაც 200-დან 169 ქულა შეაგროვა. მეორე ადგილზე გამოვიდა ლიტველი სპორტსმენი ი. ბუტკევიჩუსი.

უკანასკნელი ორი დღე დათმობილი ჰქონდა მრგვალ სტენდზე სროლას. თვიდანვე დაწინაურდა ჩვენი რესპუბლიკის მსროლელი სპორტის ოსტატი ბ. ანტონოვი, რომელმაც ორივე დღეს სპორტის ოსტატის ნორმატივი შეასრულა და 191 ქულით პირველი ადგილი დიაკავა. მეორე ადგილზე გამოვიდა ი. ზაიცევი (აზერბაიჯანი).

სამი რესპუბლიკის მსროლელთა მატჩში 932 ქულით გამარჯვებული გამოვიდა საქართველოს სპორტსმენთა კოლექტივი. მეორე ადგილი დაიკავეს ლიტველებმა (814 ქულა). აზერბაიჯანელებმა 783 ქულა შეაგროვეს.

ქალთა საბადრაკო ჩემპიონატი

გუშინ ზუგდიდში გაიმართა საქართველოს 1959 წლის პირველობის გათამაშების მეორე ტური ჭადრაკში ქალთა შორის.

სპორტის ოსტატმა ნ. გაფრინდაშვილმა მორიგი ქულა ჩაიწერა ჩემპიონატის ცხრილში, მან დაამარცხა მ. ჩომახიძე. თ. ყორჩოლაძემ მოუგო ნ. კეკიანს, გ. ბუცხრიკიძემ — გ. ბებიავას. ნ. სტატნიკოვა, — ო. შათირიშვილს, ნ. ჯანგველაძე — ჭ. გოგიავას, ე. კაკაბაძე — მ. ტოგონიძისა და ლ. ხაჭაპურიძე — ა. ჩაიკოვსკაიას პარტიები ყაიმით დამთავრდა. ლ. ბელოზიოროვა — ლ. წერაძის პარტია არ შემდგარა.

ორი ტურის შემდეგ ორ-ორი ქულა აქვთ ნ. გაფრინდაშვილსა და გ. ბუცხრიკიძეს.

ფეხბურთი

ცსკა მო — „დინამო“

გუშინ სოხუმში შედგა ამხანაგური მატჩი ფეხბურთში ცსკა მო-სა და თბილისის „დინამოს“ გუნდებს შორის. შეხვედრა მოიგეს თბილისელებმა 1:0. ბურთი გაიტანა შ. იამანიძემ.

„საქართველოს ეკონომისტი“ №3

გამოვიდა ჟურნალ „საქართველოს ეკონომისტის“ მორიგი, მესამე ნომერი.

ჟურნალში გამოქვეყნებულია შემდეგი მასალები:

ს. ლარცულიანი — სოციალისტური საზოგადოების წინააღმდეგობები და მათი დაძლევის თავისებურებანი; ს. სვანიძე — კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნის შესახებ; გ. პაპავა — შრომის ნაყოფიერება და ჩაის პროდუქციის ხარისხობრივი შემადგენლობა; კ. თარგამაძე — საქართველოს სსრ ტყის რესურსების სწორად გამოყენებისათვის; დ. ცისკარიშვილი — კაპიტალიზმის ძირითადი ეკონომიური კანონის მოქმედება იმპერიალიზმის ეპოქაში.

კონსულტაციის, საწარმოთა ეკონომიკისა და მიმოხილვის განყოფილებებში მოთავსებულია: ვ. ქვარცხავა — წარმოების წესის განმსაზღვრელი როლი საზოგადოების განვითარებაში; ნ. მახარაძე — სოციალისტური შეჯიბრება მშრომელი მასების შემოქმედებითი ენერგიისა და შრომითი ინიციატივის გამოხატულება; ლ. ლორთქიფანიძე — შემცირებულ სამუშაო დღეზე გადასვლა და ხელფასის მოწესრიგება ამერიკაკასიის ი. ბ. სტალინის სახელობის მეტალურგიულ ქარხანაში და სხვ.

ჟურნალში მოთავსებულია აგრეთვე ინფორმაციის, კრიტიკისა და ბიბლიოგრაფიის განყოფილებები.

რედაქტორი
დ. მჰედლიშვილი.

ამერიკის შეერთებული შტატების ცდების წინააღმდეგ — გააძლიერონ დაცვა ევროპასა და აზიაში

სეატოს ძირგამომთხრელი მოქმედება

პეკინი, 7 აპრილი. (საკდესი). სინხუას საგენტო იუწყება:

დღეს გაზეთი „ჟენმინ ჟიბაო“ მოწინავე სტატიაში წერს შეერთებული შტატების ახალ ცდებზე — გააძლიერონ დაძაბულობა აზიაში.

ხვალ, აღნიშნავს გაზეთი, ველინგტონში (ახალი ზელანდია) იხსნება სეატოს საბჭოს სესია. შეერთებულ შტატებს განზრახული აქვთ ეს სესია გამოიყენონ, რათა შეიმუშაონ ახალი აგრესიული გეგმები აზიის ხალხების წინააღმდეგ, გააძლიერონ დაძაბულობა ამ რაიონში. ველინგტონის სესია ახალ საფრთხეს უქმნის აზიის მშვიდობასა და უშიშროებას, რამაც არ შეიძლება არ გამოიწვიოს აზიის ქვეყნების ხალხთა მტკიცე პროტესტი.

სეატოს აგრესიული ბლოკის ძირითადი მიზანი, აღნიშნავს გაზეთი, არის მტრული პოლიტიკის განხორციელება ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მიმართ, კონტროლის დაწესება სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის დამოუკიდებელი ქვეყნებისადმი და მათი ტერიტორიების გამოყენება ამერიკული იმპერიალიზმის სამხედრო გეგმების განხორციელების ინტერესებისათვის. უკანასკნელი ოთხი წლის ფაქტები მთელი დამაჯერებლობით ცხადყოფენ, რომ სეატოს ბლოკი ამერიკული იმპერიალიზმის დიდმნიშვნელოვანი იარაღი გახდა იმაში, რომ მან განახორციელოს აგრესიისა და ომის პოლიტიკა შორეულ აღმოსავლეთში, იგი გახდა ამ რაიონში დაძაბულობისა და ამ რაიონის ზოგიერთ ქვეყნებს შორის ტალღები და არა სხვა ვინმე. თავიანთ ბაზად იყენებენ რა სამხრეთ ვიეტნამსა და ტაილანდს, შეერთებული შტატები ძირგამომთხრელ საქმიანობას ეწევიან, რომლის მიზანია კამბოჯის მეფის მთავრობის დამხობა. გასული წლის პირველ ნახევარში შეერთებული შტატები აშკარად უწევდნენ დახმარებას შეიარაღებულ ამბოხებას ინდონეზიაში. გასული წლის ოქტომბერსა და ამა წლის თებერვალში ფილიპინებში აგრეთვე გამოაშკარავდა ორი შეთქმულება, დაკავშირებული ძირგამომთხრელ საქმიანობასთან ფილიპინების მთავრობის წინააღმდეგ. ფილიპინების პრესამ გამოაცხადა, რომ ამას წინათ გამოაშკარავებული ერთ-ერთი შეთქმულება მოაწყო „ანდერსონის პარტიზანთა ფილიპინ-ამერიკის საზოგადოებამ“, რომელსაც აფინანსებენ ამერიკელი მონოპოლისტები.

აზიის ისეთ ქვეყნებში, როგორიც არის ტაილანდი, პაკისტანი და ფილიპინები, რომლებიც აგრესიული ბლოკის სეატოს წევრები არიან, ძლიერდება ეკონომიური სიინფლეები და ხალხის უკმაყოფილება მათი მთავრობების რეაქციული პოლიტიკის შედეგად. მიჰყვებიან რა გამალებული შეიარაღებისა და ომის მომზადების ამერიკულ პოლიტიკას, ეს ქვეყნები აწყდებიან უდიდეს ეკონომიურ სიძნელეებს, რაც იწვევს საფინანსო რესურსების გამოფიტვას და ხალხის მზარდ გალატაკებას. არ შეიძლება, რომ ყოველივე ამან არ გამოიწვიოს ამ ქვეყნების ხალხთა მზარდი უკმაყოფილება და წინააღმდეგობა. ამის მკაფიო მაგალითია ის, რომ ფილიპინელ ხალხში იზრდება ანტიამერიკული განწყობილება.

ამერიკული იმპერიალიზმი, აღნიშნავს გაზეთი, ავრცელებს სიცრუეს ეგრეთწოდებული „ჩინეთის კომუნისტური აგრესიის“ შესახებ, ამასთან ცდილობს შუღლი ჩამოაგდოს ჩინეთსა და აზიის ზოგიერთ ქვეყანას შორის და დაფაროს შეერთებული შტატების ექსპანსია ამ ქვეყნებში. ამას წინათ შეერთებულმა შტატებმა დაიწყეს სიცრუისა და ცილისწამების კამპანია დიდი ნახტომისა და სახალხო კომუნების მიმართ ჩინეთში. უკანასკნელ ხანს შეერთებულმა შტატებმა გამოიყენეს ტიბეტის ამბოხება როგორც იმის საბაბი, რომ გააჩაღონ ომის ცეცხლი, დარაზმონ პროამერიკული ძალები ზოგიერთ ქვეყანაში, ჩინელ ხალხს მიუსიონ ისინი. სეატოს ქვეყნებს, როგორც იუწყებიან, ისიც კი აქვთ განზრახული, რომ სეატოს საბჭოს ახლანდელი სესიის დღის წესრიგში შეიტანოს „ტიბეტის საკითხი“, რაც მთელი სიცხადით მოწმობს, რომ ამერიკის იმპერიალიზმი ცდილობს აგრესიული ბლოკი სეატო გამოიყენოს, რათა გამოხატოს თავისი მტრობა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკისადმი, 650 მილიონიანი ჩინელი ხალხისადმი. ეს აგრეთვე მთელი დამაჯერებლობით მოწმობს, რომ აგრესიული ბლოკი სეატო, რომელსაც ამერიკის იმპერიალიზმი უწევს კონტროლს, სულ უფრო აშკარად ეწევა საშიშ საქმიანობას, რომლის მიზანია აზიის ქვეყნების საშინაო საქმეებში ჩარევა და შეიარაღებული ამბოხებებისათვის მხარდაჭერა ამ ქვეყნებში.

იმისათვის, რომ ბოლო მოუღონ სიღარიბესა და ჩამორჩენილობას, ხახს უსვამს გაზეთი, აზიის ყველა ქვეყანას სურს დამოუკიდებელი განვითარება მშვიდობიან საერთაშორისო ვითარებაში, მათ სურთ მეგობრული თანამშრომლობა მშვიდობიანი თანაარსებობის ხუთი პრინციპის საფუძველზე. აზიის ხალხებს ესაჭიროებათ არა ომი, არამედ საერთაშორისო მშვიდობა და ურთიერთნდობა. აზიაში მშვიდობის დაცვისათვის ჩვენ გადაჭრით ვიცავთ ჟენევის შეთანხმებებს, ვიბრძვით მშვიდობის განმტკიცებისათვის ინდოჩინეთში, გადაჭრით ვუჭერთ მხარს კამბოჯას, რომელიც იცავს თავის ეროვნულ დამოუკიდებლობას და მშვიდობისა და ნეიტრალიტეტის პოლიტიკას, და ვიბრძვით იმის წინააღმდეგ, რომ ამერიკის იმპერიალიზმი და აგრესიული ბლოკი სეატო ერევიან სხვადასხვა ქვეყნის საშინაო საქმეებში. ჩვენ გადაჭრით ვიცავთ ბანდუნგის კონფერენციის პრინციპებს, ვიბრძვით მშვიდობიანი თანაარსებობისათვის, იმის წინააღმდეგ, რომ შეერთებულმა შტატებმა აზიის ქვეყნებში შექმნან ამერიკის სამხედრო ბაზები და განალაგონ ამერიკის ჯარები, იმის წინააღმდეგ, რომ შეერთებულმა შტატებმა ახალი დაძაბულობა შექმნან აზიაში.

ჩინელი ხალხი, წერს დასასრულ გაზეთი, აზიის ყველა ქვეყნის ხალხებთან ერთად იბრძვის იმისათვის, რომ აზია გადაიქცეს ატომგულის იარაღისაგან თავისუფალ ზონად, მშვიდობის ზონად, იმისათვის, რომ ერთხელ და სამუდამოდ მოისპოს ომის კერა აღმოსავლეთში. აზია მშვიდობიანი უნდა იყოს! აზია მშვიდობისმოყვარე ხალხებს უნდა ეკუთვნოდეს!

გაზეთებმა „დაგუნ ბარმ“ და „გუანმინ ჟიბაომ“ დღეს აგრეთვე გამოაქვეყნეს მოწინავე სტატიები, რომლებშიც გადაჭრით ემხრენ სეატოს ძირგამომთხრელ მოქმედებას.

უცხოეთის ქრონიკა

◆ გაზეთი „ფარმანი“ იუწყება, რომ ირანის პოლიციის მთავარმა სამმართველომ დაიწყო თითების ანაბეჭდთა შეგროვების ფართო კამპანია. გაზეთი აღნიშნავს, რომ სამმართველო ამოცანად ისახავს გააკეთოს ირანის მთელი მოსახლეობის დაქტილოსკოპური ანაბეჭდი. ამჟამად უკვე შეგროვებულია 7 ათასი ასეთი ანაბეჭდი.

◆ კანადის მშვიდობის დაცვის კონგრესმა მთავრობას მიმართა მოწოდებით მიაღწიოს ცივი ომის შეწყვეტასა და ბერლინის საკითხის მოწესრიგებას მშვიდობიანი მოლაპარაკების გზით.

კანადის მშვიდობის დაცვის კონგრესი აღნიშნავს, რომ გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების დადება მეტად საჭიროა, რათა მოისპოს მილიტარიზმი და შეწყდეს გამალებული ატომგულის შეიარაღება, უზრუნველყოფილ იქნეს ცენტრალური ევროპის ხალხთა და სახელმწიფოთა უშიშროება.

„დასავლეთ ბერლინის თავისუფლება და თვითმმართველობა ადვილად შეიძლება უზრუნველყოფილ იქნეს დაინტერესებულ სახელმწიფოთა და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შეთანხმებით“.

დასასრულ კონგრესი აღნიშნავს, რომ კანადამ გადაჭრით და აშკარად უნდა გაილაშქროს უპასუხისმგებლო პროპაგანდის წინააღმდეგ უმაღლეს დონეზე მოლაპარაკების გამართვაზე უარისთქმის, პრევენტიული ომის შესახებ, ძალის დახმარებით საერთაშორისო საკითხების გადაჭრის შესახებ. კანადამ უნდა მოითხოვოს ატომგულის იარაღის გამოყენების აკრძალვა.

◆ როგორც იუნაიტედ პრეს ინტერნაციონალის საგენტოს კორესპონდენტი სიეტლიდან იუწყება, ამერიკელმა სეხტორძა უორენ მაგნასონმა, რომელიც ოკესადგურის მტვიოთვებისა და საყოფაბების ძუშათა პროფკავშირის მე-13 ყრილობაზე გამოვიდა, სასაცილოდ აიგდო ბეერთებული ძტატების რეაქციული წრეების იმედი, რომ ამერიკის შეერთებული შტატების დახმარებით ჩან კაი-შის შეუძლია „შეიჭრას ჩინეთში“. ეს იქნებოდა მესამე მსოფლიო ომის ძომასსუაეებელი, განაცხადა მან.

სენატორმა ურრია „ახლებურად განიხილოს“ ჩინელ ხალხთან ურთიერთობის მთელი პრობლემა.

მაგნასონმა მოიითხოვა სავაჭრო ურთიერთობის დამყარება შეერთებულ შტატებსა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას შორის. „ასიფლოიოს ყველა სხვა ქვეყანა ვაჭრობს ჩინეთთან“, — ხაზგასმით აღნიშნა მან.

სენატორის აზრით, ამერიკის შეერთებულ შტატებს შეუძლიათ „გონივრული ვაჭრობა“ აწარმოონ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასთან.

◆ დელში დამთავრდა სრულიად ინდოეთის არამთავრობის ორგანიზაციების მეორე კონფერენცია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ინფორმაციის საკითხებზე.

ერთხმად მიღებულ რეზოლუციაში კონფერენციამ მოითხოვა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას მიეცეს მისი კანონიერი ადგილი გაერთიანებული ერების ორგანიზაციასა და უშიშროების საბჭოში.

ჩეხოსლოვაკია. აქ ომისშემდგომ წლებში განსაკუთრებით განვითარდა მანქანათმშენებლობა.

უკანასკნელ ხანს „შკოდას“ ავტოქარხანამ დაიწყო ახალი მარკის მსუბუქი მანქანების სერიული წარმოება. ახალი მანქანები გარეგნულად ლამაზი და მოსახერხებელია. **სურათზე:** ახალი მსუბუქი ავტომანქანები „შკოდა 450“.

ფოტო ე. ბიცოვისა
ჩეხოსლოვაკიის დეპეშათა საგენტო.

საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ტუბერკულოზის სამეცნიერო-საკვლევი რესპუბლიკური ინსტიტუტი აცხადებს კონკურსს შემდეგ თანამდებობებზე:

უფროსი მეცნიერი მუშაკი საორგანიზაციო-მეთოდიური სექტორისა — მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი ან კანდიდატი — 1; ექიმი მეცნიერი მუშაკი — რენტგენოლოგი — 1; კლინიკური ორდინატორი ფილტვის ტუბერკულოზში —1; კლინიკური ორდინატორი თორაკალურ ქირურგიაში — 1, კლინიკური ორდინატორი ძვალ-სახსრის ტუბერკულოზში — 1; ასპირანტი ფილტვის ტუბერკულოზში — 1.

კონკურსში მონაწილეობის მსურველებმა ენდა წარმოადგინონ განცხადება და სათანადო საბუთები (ორ-ორ ცალად) ინსტიტუტის დირექციის სახელზე (ქ. თბილისი, მონტინის მე-4 შესახვევი). კონკურსის ვადაა ერთი თვე დღიდან ამ განცხადების გამოქვეყნებისა.

თბილისის სახელმწიფო ცირკი ყოველდღე პროგრამის მთლიანად გამოცვლა
პირველად თბილისში
დიდი ატრაქციონი
1958 წლის გამოშვება
ლ ო მ ე ბ ი ცხ ე ნ ე ბ ზ ე
მწვრთნელი **თამარ ბუსლაევა**
რსფსრ დამსახურებული არტისტის
ა. ნ. ბუსლაევის
ხელმძღვანელობით და მონაწილეობით
დიდი საცირკო პროგრამა
მონაწილეობენ ახლად ჩამოსული მსახიობები, საბჭოთა ცირკის ოსტატები
დასაწყისი საღამოს 8 ს. 30 წ.
კვირაობით დღის ორი საბავშვო წარმოდგენა
დასაწყისი I—12 ს., II — 3 ს.
ბილეთები იყიდება. მიიღება შეკვეთები კოლექტიურ დასწრებაზე.

თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრი

ხუთშაბათს, 9 აპრილს მე-16 აბონემენტის მე-3 წარმოდგენა
ლიუბომირ გავლაკის
მონაწილეობით
ე. სუხონი
კრუტნიავა
(მორევი)

პარასკევს, 10 აპრილს მე-12 აბონემენტის მე-8 წარმოდგენა
ვახტანგ ჭაბუკიანის
მონაწილეობით
ა. მაჭავარიანი
ოტელო

შაბათს, 11 აპრილს მე-14 აბონემენტის მე-7 წარმოდგენა
გეორგინა პალიცოვას და **ლიუბომირ გავლაკის**
მონაწილეობით
ე. ბიზე
კარმენ
დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

ტრავმატოლოგიის და ორთოპედიის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტი აცხადებს კონკურსს შემდეგ ვაკანტურ თანამდებობათა დასაკავებლად:

1) რენტგენოლოგიის განყოფილების გამგე — 1 (კანდიდატი ან დოქტორი), 2) კლინიკური ორდინატორის — 2 (1 — ტრავმატოლოგიაში, 1 — ორთოპედიაში), 3) ასპირანტის — 1 (ორთოპედია-ტრავმატოლოგიაში).

(საკონკურსო პრაქტიკული მუშაობის არანაკლებ 2 წლის სტაჟი). ყველა საჭირო საბუთები წარმოდგენილ უნდა იქნეს თანახმად დებულებისა ინსტიტუტის დირექტორის სახელზე (ქ. თბილისი, კალინინის ქ. № 51).

კონკურსის ვადაა ერთი თვე დღიდან ამ განცხადების გამოქვეყნებისა.

დ ღ ე ს

თბილისის თეატრებში

ოპერისა და ბალეტის—კრუტნიავა (მე-16 აბონემენტის მე-3 წარმოდგენა), **რუსთაველის სახელობის** — ამბავი სიყვარულისა, **მარჯანიშვილის სახელობის** — კოლმეურნის ქორწინება, **მუსიკალური კომედიის** — ვახშამზე (ოკინიგზელთა სახლში), **სანკულტურის** — ერთი შეცდომის შედეგი, **სომხური დრამის** — სამეული, **მოზარდ მაყურებელთა ქართული** — ეშმაკის მოწაფე (29-ე აბონ., 6 ს.), **მოზარდ მაყურებელთა რუსული** — ორი მეგობარი (2 ს.), **თოჯინების ქართული** — დიდი ივანე (11 ს.), ფილარმონიის საზამთრო — საესტრადო ანსამბლის გასტროლები ქაჯ დუვალიანისა და სხვების მონაწილეობით.

კინოთეატრებში

რუსთაველის სახელობის, ოქტომბერი, 26 კომისრის სახელობის (მეორე დარბაზი), **საქართველო** (მწვანე დარბაზი), **კიროვის, სახელობის პარკი, კომუნარების ბაღი** — ზვიგენის ბილი, **ამირანი, ისანი, სპარტაკი, საქართველო** (წითელი დარბაზი), **პლეხანოვის სახელობის კლუბი, ი. ჭავჭავაძის სახელობის კლუბი** — ზვავი მთიდან, **თბილისი** — მკვლელობა დანტეს ქუჩაზე, **კომკავშირელი** — მეცამეტე გოჯი, **26 კომისრის სახელობის** (პირველი დარბაზი), **კოლხიდა, ყაზბეგი**—ქურდბაცაცა კაჟკაჟი, **გორკის სახელობის კულტურის სახლი** — სიყვარულის პაემანი, **ძერჟინსკის სახელობის კლუბი** (საზაფხულო) — ბორბლების ხმაურში, **ოფიცერთა სახლი** — ევგენი ონეგინი, **დიდუბე** — შუაღამისას, **სარეწაო კოოპერაციის კულტურის სახლი** — ინდოეთის კინოფილმების ფესტივალი.

რედაქციისა და გამომცემლობის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14. ტელეფონები: რედაქტორის — 3-62-26, რედაქტორის მოადგილეების — 3-63-03, 3-82-05, 3-32-46, პასუხისმგებელი მდივნის — 3-72-80, სამდივნოსი — 3-81-65, განყოფილებებისა: პარტიული ცხოვრების და მარქსისტულ-ლენინური თეორიის პროპაგანდის — 3-81-84, მრეწველობისა და ტრანსპორტის, ადგილობრივი ინფორმაციის — 3-16-90, სოფლის მეურნეობის — 3-20-43, მეცნიერების, უმაღლესი და საშუალო სკოლების, ლიტერატურისა და ხელოვნებისა—3-80-84, საბჭოთა მშენებლობის — 3-57-61, უცხოეთის ინფორმაციის — 3-80-83. წერილებისა და პარტბიუროსი — 3-73-24, საილუსტრაციო — 3-08-67, განცხადებების მიღების — 3-64-42, გამომშვების — 3-06-88.

УЦ 02504 საქართველოს კპ ც.კ-ის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, ლენინის ქ. № 14. 3